

1977

გრომის წითელი დროშის ორდენოსანი  
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის  
გრომები



სერია სასოფლო-სამეურნეო  
ნარგობების მექანიზაცია  
ელექტრიფიკაცია და  
ჰიდრომელიორაცია

8. 101 ტ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
сельскохозяйственного института

СЕРИЯ МЕХАНИЗАЦИЯ, ЭЛЕКТРИФИКА-  
ЦИЯ И ГИДРОМЕЛИОРАЦИЯ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО  
ПРОИЗВОДСТВА

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი  
განყოფილება  
სოფლისმშენებლობის  
სამსახური



სერია **სასოფლო-სამეურნეო  
ნარმოების მექანიზაცია  
ელექტრიფიკაცია და  
ჰიდრომელიორაცია**

გ. 101 ტ.

188

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
сельскохозяйственного института

СЕРИЯ **МЕХАНИЗАЦИЯ, ЭЛЕКТРИФИКА-  
ЦИЯ И ГИДРОМЕЛИОРАЦИЯ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО  
ПРОИЗВОДСТВА**

19 თბილისი 77  
19 Тбилиси 77

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
საბჭოთა მეცნიერებათა აკადემია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ჰიდრომელიორა-  
ციის სერიის ტომის მასალები განხილულია ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს  
სხდომაზე და მოწონებულია შრომის წითელი დროშის ორდენისა და საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდი საბჭოს მიერ.

მთავარი რედაქტორი პროფ. ვ. ი. მებრეველი

სარედაქციო კოლეგიის წევრები: პროფ. მ. მ. გუგუშვილი, პროფ. ა. გ.  
კეჩუაშვილი, დოც. კ. ი. კვანტალიანი, დოც. პ. ვ. მიქელაძე, დოც. გ. ი. მშვი-  
დობაძე, პროფ. ე. ა. მჭედლიშვილი, პროფ. ი. გ. ნათიშვილი, დოც. გ. ე. ტულუში,  
დოც. გ. გ. ქემოკლიძე, დოც. გ. ა. შალამბერიძე, პროფ. გ. ა. შხვაცაბაია, პროფ.  
ბ. მ. ჩიკვაშვილი (მთ. რედ. მოადგილე), პროფ. გ. ს. ჩიჩუა, პროფ. გ. ა. ხანთაძე,  
ბ. გ. ჯაფარიძე (პ/მგ. მდივანი).

Материалы тома серии — механизация, электрификация и гидро-  
мелиорация — рассмотрены на заседании Ученого совета факультета  
и одобрены большим ученым советом Грузинского ордена Трудового  
красного Знамени сельскохозяйственного института.

Главный редактор проф. Метрели В. И.

Члены редакционной коллегии: проф. Гугушвили М. М., Джапа-  
ридзе Б. В., (отв. секретарь), доц. Кванталиани К. И., доц. Кемоклид-  
зе Г. Г., проф. Кечуашвили А. Г., доц. Микеладзе П. В., проф. Мчед-  
лишвили Э. А., доц. Мшвидобаძე Г. И., проф. Натишвили О. Г., доц.  
Тугуши Г. Е., проф. Хантадзе Г. А., проф. Чиквашвили Б. М., (зам. гл.  
редактора), проф. Чичუა Г. С., доц. Шаламბერიძე Г. А., проф. Шхва-  
цабая Г. Я.



ბ. შალაშვილი

**სოფლის მეურნეობის წარმოების მაქსიმიზაციისა და ალექსანდრიისის  
საქალაქის მკვლევარის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავზე**

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად გატარებულმა რე-  
ფორმებმა, მსხვილი სოციალისტური საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნე-  
ობების ჩამოყალიბებამ შექმნეს მექანიზაციის საშუალებების გამოყენების  
საუკეთესო პირობები. სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი სოფლის  
მეურნეობის მექანიზაციას, რომელიც დღითიდღე, სისტემატურად არნახულა  
ტემპით ვითარდება.

სკკ XXV ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი ამოცანების  
გრანდიოზული ამოცანები. მოგვცა მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები,  
რომლებიც მდგომარეობს სამეურნეობათა შორის კოოპერაციის, აგროსამრეწ-  
ველო ინტეგრაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის  
შემდგომ დაწერვაში.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაცია, ქიმიზაცია და ყო-  
ველმხრივი მექანიზაცია, რომლებიც ითვლება სოფლის მეურნეობის პროდუქ-  
ციის სიუხვის საფუძველად, დიდ როლს ანიჭებს და მოთხოვნებს უყენებს მეც-  
ნიერებას. სოფლის მეურნეობის წარმოების კადრებს.

საბჭოთა კავშირის და კერძოდ, საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის  
მეურნეობა, შეიარაღებული მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებ-  
ით, სულ უფრო სწრაფად გადადის ინდუსტრიული განვითარების ბაზაზე, ეს  
იწვევს სოფლად თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს, რომლებიც, მი-  
ითხოვენ წარმოების ხელმძღვანელობისა და მართვის თანამედროვე ფორმებს—  
მეთოდებს.

დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება უნდა ეყრდნობო-  
დეს მეცნიერებების — ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის თანამედროვე მილა-  
წევებს. სოფლის მეურნეობის წარმოება, როგორც მასიური — მსხვილი მექა-  
ნიზებული წარმოება, დღეს შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მათემატიკური  
მოდელირებისა და საინჟინრო დაპროექტების გარეშე.

დღეს რთული პრობლემებია გადასაჭრელი მექანიზაციის დარგში მოსაე-  
ლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდების მიზნით, შრომისა და სახსრების  
მინიმალური დანახარჯებით, უნდა დაინერგოს ინდუსტრიული ტექნოლოგია.



მათემატიკური პროგრამირება და პროგნოზირება, მანქანების განლაგების რაციონალური ფორმები, მანქანებისა და დასამუშავებელი მასშტაბების მცენარის, ცხოველის) ურთიერთმორგება, ავტომატიზაციისა და ელექტრონიკის ცირებული სისტემების ფართოდ გამოყენების საფუძველზე სულ უფრო იზრდება მექანიზაციის როლი სოფლად.

სკვპ ცკ 1965 წლის მარტის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ აღნიშნულ იყო „... სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მისი უზრუნველყოფა მექანიზატორთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრებით. დიდი ხანია სამართლიანად მიაჩნიათ რომ ... მექანიზატორი ცენტრალური ფიგურაა სოფლად“.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დარგის რთული ამოცანის რეალიზაცია ძირითადად დაკავშირებულია ამ სპეციალობის კადრების მომზადებასთან. ამოცანა ის არის, რომ აღზარდოთ თანამედროვე, ტექნიკური პროგრესის შესაბამისი, ტექნიკას დაუფლებული, მოაზროვნე, საქმიანი, ორგანიზაციული უნარის მქონე სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ უნარი შემოქმედებითად გადაწყვიტონ მათ წინაშე დასმული რთული საკითხები.

მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სპეციალობის ახალგაზრდა ინჟინრების მომზადებას რესპუბლიკაში ემსახურება ს. მ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტი, მასში შემავალი კათედრებითა და მაღალკვალიფიციური პროფესორ-პედაგოგიური პერსონალით.

ს. მ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტმა თავისი არსებობის მოკლე პერიოდში (47 წელი) სახელოვანი გზა განვლო. ის მხარში უდგას კავშირის ანალოგიურ ფაკულტეტებს და მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს.

ზონალური მანქანათა სისტემის შექმნის, ს. მ. მექანიზაცია-ელექტრიფიკაციის, მანქანათა გამოყენების და ამ მიმართულებით კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის გაშლა-გაფართოების საქმეში დიდი გავლენა იქონია და შემდგომში განსაზღვრა მრავალი ქართველი ახალგაზრდის მიმართულება და გაფორმება რუსი მეცნიერის, მიწათმოქმედების მექანიკის, მეცნიერების ფუძემდებლის ვასილი პროხოვის ძე გორიაჩინის შრომებმა, რომლებზეც აღიზარდა მექანიზაციის დარგის თითქმის ყველა ქართველი მეცნიერი-პედაგოგი.

1921 წელს, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად ჩამოყალიბებულ აგრონომიულ ფაკულტეტზე საგანს — „სასოფლო-სამეურნეო მექანიკა“ — კითხულობდა პროფ. კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბი. 1930 წლის მაისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ს. მ. მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ფაკულტეტი კათედრებით: სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ფიზიკა და მათემატიკა. ფაკულტეტის პირველ დეკანად არჩეული იყო კ. ამირაჯიბი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ქართველი მექანიზატორების მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა და ამ დარგში კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის გაშლა. მანვე 1926 წელს ჩამოაყალიბა მექანიზაციის საცდელი სადგური. კ. ამირაჯიბმა პროფ. ა. დიდებულიძესთან ერთად შექმნა მსოფლიოში პირველი ელექტროტრაქტორი, რომლის სახელმწიფო გამოცდა ჩატარდა 1930 წელს ქ. თბილისში.



პროფესორებმა კ. ამირაჯიბმა და ა. დიდებულებმა შექმნეს მკვლევარი მექანიზატორებისა და ელექტროფიკატორების ძლიერი სკოლა, რომელიც ცნობილია ჩვენს ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ.

1938 წლის თებერვალში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გაერო-თიანებული კათედრიდან გამოიყო შემდეგი კათედრები: ტრაქტორები და ავტომობილები (გამგე ვ. მახალდიანი), სასოფლო-სამეურნეო მანქანები (გამგე მ. თედორაძე), მტპ ექსპლუატაცია (გამგე ვ. ზოფერია), სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ტრაქტორების რემონტი (გამგე გ. უშვერიძე), ლითონის, ხისა და სათბობი მასალების ტექნოლოგია (გამგე კ. ამირაჯიბი), სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია (გამგე ა. დიდებულები).

ამრიგად, ს. მ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტზე კადრების აღზრდის საქმეში და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ამ პერიოდში მონაწილეობენ პროფესორები: ა. დიდებულები, ი. ვაწაძე, ი. გაჩეჩილაძე, დოცენტები: ა. დევიძე, ნ. კორძახია, ვ. მახალდიანი, რ. დვალი, დ. ციციშვილი, გ. ცქიფურიშვილი, ვ. ზოფერია, მ. თედორაძე, ა. კიზირია, ს. ჩოჩია, კ. ლეყანა, ი. ხოხლოვი, ვ. ბელეცი, გ. ცაგარელი, ვ. მანველიძე, ნ. ზირაქაძე, ა. აფხაიძე, ა. სიხარულიძე, გ. ხანთაძე, 1941 წ. მოსკოვიდან დაბრუნდა ფაკულტეტის აღზრდილი, ვ. პ. გორიაჩინის მოწაფე, ტექნ. მეცნ. კანდ. გ. შხვაცაბაია. ამ პერიოდში დაისვა ახალგაზრდა პედაგოგიური კადრების აღზრდის საკითხი. ამ მიზნით რესპუბლიკის გარეთ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხნენ 1936, 38, 39, 40 წლებში წარჩინებით კურსდამთავრებულნი: მ. გუგუშვილი, შ. კერესელიძე, ი. თუშიშვილი, კ. ჭულელი, პ. მიქელაძე, ა. კეჩუაშვილი, გ. შალამბერიძე, ზ. ხანთაძე, ე. დოლიძე და სხვ. ამავე პერიოდში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიცვეს: ვ. მახალდიანმა, რ. დვალმა, მ. თედორაძემ, ა. კიზირიამ, დ. ციციშვილმა, გ. ცქიფურიშვილმა, ვ. ზოფერიამ, გ. ხანთაძემ, ვ. ბელეციმ და სხვებმა.

1938—41 წწ. ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სპეციალური და საპროფილო კათედრის თანამშრომლები და საქართველოს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საცდელი სადგურის მეცნიერ თანამშრომლები. საქართველოში, პირველად საბჭოთა კავშირში, საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების მუშაობის გამოკვლევას სამთო მიწათმოქმედების პირობებში.

სამამულო ომმა დროებით შეანელა ფაკულტეტისა და მისი კათედრების წევრობის საქმიანობა, მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა მობილიზებული იყო და სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა. მათ რიგებში იყო ვ. მახალდიანი, გ. ხანთაძე, ი. ხოხლოვი, დ. ციციშვილი, ა. კეჩუაშვილი, მ. გუგუშვილი, პ. მიქელაძე, კ. ჭულელი, გ. შალამბერიძე, ვ. ოქროპირიძე, გ. მამაცაშვილი, ზ. ხანთაძე, ვ. ბელეცი და სხვ.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გაიშალა ფაკულტეტისა და მასში შემავალი კათედრების მასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა, გაიზარდა სტუდენტთა კონტინგენტი და კათედრის სამტატო ერთეული.



დღეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის 9 კათედრა და სამაჩხანო პარკი.

**ნიადაგდამამუშავებელი მანქანების კათედრა.** ეს კათედრა ისტორიულად საბაზისო კათედრა იყო, რომლის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური და საპროფილო კათედრები. კათედრის პირველი გამგე იყო პროფ. კ. ამირაჯიბი, რომელმაც მის საქმიანობაში ჩააბა ახალგაზრდა ინჟინრები: ვ. მახალდიანი, რ. დვალი, დ. ციციშვილი და სხვ. 1938 წლიდან კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობენ მ. თედორაძე, დ. ციციშვილი. პროფ. დ. ციციშვილის ხელმძღვანელობით საპროფილო საგნების სწავლება გადაყვანილი იყო საინჟინრო საწყისებზე. კათედრაზე აღიზარდნენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, მომზადდა და გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო და მეთოდური მითითება.

1967 წლიდან კათედრას ხელმძღვანელობს პროფ. მ. გუგუშვილი. კათედრა დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით. კათედრაზე 4 პროფესორია, 3 დოცენტი და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 3 უფროსი მასწავლებელი. კათედრაზე პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან ცნობილი სპეციალისტები: პროფ. ზ. ხანთაძე და პროფ. შ. კერესელიძე.

კათედრამ ნაყოფიერი მუშაობა გასწია სასწავლო-მეთოდურ დარგში. კათედრის წევრების მიერ გამოცემულია ქართულ ენაზე 12 სახელმძღვანელო და მრავალი მეთოდური მითითება, მოწყობილია სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები, აღჭურვილი უახლესი ტექნიკით.

ამჟამად კათედრაზე მუშაობენ: პროფ. მ. გუგუშვილი, პროფ. ზ. ხანთაძე, პროფ. შ. კერესელიძე, პროფ. ბ. ჩიხლაძე, დოც. ო. მაისურაძე, უ/მ. ე. რამაზაშვილი, უ/მ ი. იობაშვილი, უ/მ. ქ. მანველიძე, ტექნ. მეცნ. კანდ. ლ. ქერტყოვეცი, ტექნ. მეცნ. კანდ. ჯ. ზანგალაძე, უფ. ლაბ. ე. არჩუაძე, სასწ. მოხ. ი. ძმანაშვილი, სასწ. მოხ. გ. ლობჯანიძე, მექანიკოსი ნ. ზანგალაძე.

კათედრამ თავისი არსებობის პერიოდში დიდი მუშაობა ჩაატარა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხაზით, კათედრის წევრებიდან ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა 4 პედაგოგმა, კათედრაზე მომზადდა 15 ასპირანტი, მ. შ. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 12-მა.

კათედრაზე საფუძველი ჩაეყარა სამთო პირობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობის თეორიულ კვლევებს. შესრულებულია მნიშვნელოვანი გამოკვლევები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ოპტიმალური სტრუქტურის დაპროექტების საკითხებზე, მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით. მევენახეობის, მებოსტნეობის და სხვა კულტურების კომპლექსური მექანიზაციის და მანქანათა სისტემის დამუშავების საკითხებზე, კვლევის შედეგები დანერგულია წარმოებაში.

ამჟამად კათედრა მუშაობს სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: ფართომწკრივიანი და მაღალ-ნაპლერიანი ვენახების კომპლექსური მექანიზაცია, სიმინდის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია პუნქტირული თესვისა და ჰერბიციდების გამოყენების ბაზაზე, როტაციული სამუშაო ორგანოების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მანქანებში.



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 საიუბილეო წელთან დაკავშირებით კათედრამ აიღო გადიდებული ვალდებულება მჭიდროდ დაეხმოს წარჩინებით შეასრულა.

**მოსავლის ამღები და მეცხოველეობის მანქანების კათედრა.** კათედრა განიხილავს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრას და დამოუკიდებლად არსებობს 1952 წლიდან. დღიდან დაარსებისა მას ხელმძღვანელობს საკავშირო; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნ. მეცნ. დოქ., პროფ. გ. შხეცაბაია.

კათედრის შემადგენლობაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან: დოცენტები—გ. ქემოკლიძე, ვ. ზევენიშვილი, მ. ოშორიძე, ასისტენტები—ნ. სურგულაძე და ზ. შხეცაბაია.

კათედრის თანამშრომლები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კვლევით-სამეცნიერო დარგში. დამუშავებულია თემები: მარცვლეული კულტურებისა და ჩაის მოვლა-მოყვანის და აღების, მეცხოველეობის მანქანების გამოკვლევის საკითხებზე. მუშავდება ჩაის შერჩევითი კრეფის მანქანის თეორიული საფუძვლები, საკრეფი აპარატის მუშა ორგანოების მუშაობა გადიდებულ სიჩქარეზე. შექმნილია მანქანათა კომპლექსი ჩაის მოვლა-მოყვანის და აღების მცირე მექანიზაციისათვის მცირე სიმძლავრისა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და ხელის მოტორიზებული მანქანების ბაზაზე, რომელთა გამოცდა ტარდება მთავორიან რელიეფზე განლაგებულ ჩაის პლანტაციებში.

დამუშავებულია და შექმნილია საზომი და საკონტროლო ხელსაწყოები: წვევითი და როტაციული დინამომეტრები—დინამოგრაფები, მუშაობის მზომები, ჰიდრაულიკური და მექანიკური კალიბრატორები, კვლის სიღრმის ავტომატური მზომი, ხელის ტახოგრაფი და სხვ.

კვლევით მუშაობაში ჩაბმულია კათედრის ყველა წევრი, ასპირანტი და სტუდენტობა.

კათედრამ მოამზადა 60-ზე მეტი ასპირანტი, რომელთა უმრავლესობას მიღებული აქვს სამეცნიერო ხარისხი. ამჟამად კათედრაზე მუშავდება სადოქტორო 2 და საკანდიდატო 5 დისერტაცია. გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 20-ზე მეტი დასახელების სახელმძღვანელო-მონოგრაფია და ბროშურა.

კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ხაზით. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების (ვიეტნამი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია, ბულგარეთი და სხვ.) უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან.

კათედრის წევრები ქმედით დახმარებას უწევენ საშეფო მეურნეობებს, სისტემატურად ეხმარებიან მათ პროგრესული მეთოდების დანერგვაში, კონსულტაციებს უწევენ რესპუბლიკის მრავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და წარმოების მეცნიერ თანამშრომლებს.

**ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრა.** ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრა ჩამოყალიბდა 1938 წლის 5 იანვარს, იგი გამოეყო აღრე არ-





სებულ სარემონტო და ავტოსატრაქტორო საქმის კათედრას, რძმელსა და პროფ. კ. ამირაჯიბი ხელმძღვანელობდა. კათედრის გამგედ დაინიშნა **კეკელიძე** ტანჯ მახალდანი.

კათედრის შემადგენლობაში შედიოდნენ: დოც. რ. დვალი, ასისტენტები: ვ. ბელეციკი, გ. ხანთაძე, ე. დოვლათბეგოვი, ა. თუმანიანი, უფრ. ლაბ. ლ. კობალიანი.

ამჟამად კათედრის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ვ. მახალდანი, პროფ. გ. ხანთაძე, დოცენტები: ვ. ოქროპირიძე, პ. მიქელაძე, გ. თაბორიძე, ლ. კობალიანი, უფრ. მასწ. გ. მამაცაშვილი, ასისტ. კ. პეტრიაშვილი, უფ. ლაბ. ნ. ბიჭაშვილი, სასწ. მოხელეები: შ. გიგაური, ა. თოთლაძე და ს. მხიტარიანი, მექანიკოსი ე. ნეგნესოვი.

კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ლენინური პრემიის ლაურეატი პროფ. შ. კერესელიძე, პროფ. დ. პეტრიაშვილი, დოც. შ. სამადაშვილი და ასისტ. ა. ხომასურიძე.

კათედრა აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და მოწყობილობით: აქვს 4 სასწავლო კაბინეტი და ძრავების საგამოცდო, საწვავ-მიმწოდებელი აპარატურისა და ელექტრომოწყობილობის გამოსაცდელი, მცირელიტრაჟიანი ძრავებისა და დაშლა-აწყობის ლაბორატორიები.

ლაბორატორიებში მოქმედი დანადგარებიდან აღსანიშნავია: ელექტრობალანსირული მაღალი სიმძლავრის მანქანები, ძრავების გამოსაცდელი ელექტრობალანსირული სტენდები, ელექტრობენევატიკური, ელექტრონული და რენტგენული მოწყობილობანი ძრავების ინდიცირებისათვის და ბევრი სხვა.

კათედრა დაარსების მომენტიდან შეუდგა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნას და 1939—1941 წლების პერიოდში გამოსცა ორტომიანი — ძირითადი სახელმძღვანელო „ტრაქტორებისა და ავტომობილების კონსტრუქცია და გაანგარიშება“. ამ წიგნებმა დიდი გავლენა მოახდინა კადრების აღზრდასა და ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე.

დამუშავდა და გამოიცა ლექციების კითხვისა და ლაბორატორიული მუშაობების ჩატარების მეთოდიკები.

კათედრამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებად თავიდანვე დაისახა მთავარიან პირობებში ტრაქტორების, ავტომობილებისა და მათი ძრავების მუშაობის გამოკვლევა და ღონისძიებების დასახვა, რომლებიც აუმჯობესებენ ამ მანქანების მაჩვენებლებს დასახელებულ პირობებში მათი ექსპლუატაციის დროს.

ამ მიმართულების შერჩევა გაპირობებული იყო იმით, რომ მაღალმთიან პირობებში მუშაობის დროს, მობილური მანქანებისა და მათი ძრავების მაჩვენებლები შესამჩნევად უარესდება, რასაც თან სდევს მათი მწარმოებლობის შემცირება, შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუარესება, მანქანის ნაწილების გაცვეთის გაძლიერება და პროდუქციის თვითღირებულების გადიდება.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული მიმართულებით ჩატარებულმა სამუშაოებმა დიდი ნაყოფი გამოიღო და ჩვენს სპეციალისტებს სახელი მოუხვეჭა მთელს საბჭოთა კავშირში.



მიუხედავად იმისა, რომ მთავორიანი რაიონები ბევრ სხვა რესპუბლიკასაც მოეპოვება, აღნიშნული მიმართულების სამუშაოები პირველად ჩატარდა და ახლაც მას წამყვანი ადგილზე უჭირავს. შირში საქართველოში ჩატარდა და ახლაც მას წამყვანი ადგილზე უჭირავს. კათედრაზე მიღებული მნიშვნელოვანი შედეგები შევიდა სხვადასხვა რუსულ სახელმძღვანელოში.

ამჟამად კათედრის წამყვანი წევრები აწარმოებენ სამეცნიერო მუშაობას მნიშვნელოვან პრობლემებზე.

კათედრა მკიდროდა დააკავშირებული სხვადასხვა საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო დაწესებულებებთან და წარმოებასთან. მკიდრო კონტაქტია დამყარებული ხარკოვის ძრავების საკონსტრუქტორო ბიუროსთან, რაც სახელმწიფოებრივ სამუშაოების ჩატარებითაა გაპირობებული.

კათედრაზე მიღებული შედეგები მოხსენებული იყო მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ღონისძიებებზე. საერთაშორისო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: „სიმაკის“ კონგრესი, რომელიც შედგა 1971 წელს შვედეთში: „ფიზიტას“ კონგრესი, რომელიც შედგა საფრანგეთში 1974 წელს (პროფ. ვ. მახალიანი) და „სიმაკის“ კონგრესი, რომელიც შედგა იაპონიაში 1977 წელს (დოც. ვ. ოქროპირიძე და ასპირანტი გ. ჰანტურია).

კათედრის არსებობის პერიოდში მისი წევრების მიერ გამოცემულია მრავალი სახელმძღვანელო, მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია; მიღებულია 7 საავტორო მოწმობა.

სტატიები, გარდა რესპუბლიკური და საკავშირო გამოცემისა, დაიბეჭდა რუმინეთში, საფრანგეთში, შვედეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ინგლისში:

არსებობის პერიოდში კათედრის წევრთა მიერ დაცული იყო 3 სადოქტორო და 11 საკანდიდატო დისერტაცია.

**მასალათა ტექნოლოგიისა და მანქანათა რემონტის კათედრა.** კათედრა ჩამოყალიბდა მასალათა ტექნოლოგიის კათედრასთან მანქანათა რემონტის კათედრის შეერთების შედეგად.

მასალათა ტექნოლოგიის კათედრა დაარსდა 1938 წ. პირველი გამგე იყო პროფ. კ. ამირაჯიბი. მისი გარდაცვალების შემდეგ კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოც. კ. ჭოელი. ხოლო 1973 წლიდან კათედრას ხელმძღვანელობს პროფ. ა. კეჩხუაშვილი.

მანქანათა რემონტის კათედრა დაარსდა 1938 წ. მის გამგედ მიწვეული იყო პროფ. გ. უშვერიძე, ხოლო 1952 წ. კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოც. ი. თუშიშვილი.

1975 წ. მანქანათა რემონტის კათედრა შეუერთდა მასალათა ტექნოლოგიის კათედრას და მიიღო მასალათა ტექნოლოგიისა და მანქანათა რემონტის კათედრის სახელწოდება.

კათედრაზე იკითხება შემდეგი დისციპლინები: მასალათა ტექნოლოგია, მასალათმცოდნეობა, ურთიერთშენაცვლებადობის და ტექნიკური გაზომვების საფუძვლები; მანქანათა რემონტის ტექნოლოგია და ორგანიზაცია; ს. ს. ტექნიკის საიმედოობის საფუძვლები. ემსახურება მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, პროდუქტთა ტექნოლოგიის სპეციალობებს და კვალიფიკაციის ამალღების კურსებს.



კათედრა ხელმძღვანელობს სადიპლომო და საკურსო გეგმარების დამუშავებას და საწარმოო და სასწავლო პრაქტიკებს ორ წამყვან სპეციალობაზე: ამჟამად კათედრის შემადგენლობაში არიან პროფ. ტყეშელაშვილი დოცენტები — ი. თუშიშვილი, ა. ლუღუშაური, ა. ბარბაქაძე, შვილი. ასისტ. ჯ. ჯელიძე, თ. გოჩიტაშვილი, ბ. ხომასტრიძე, უფ. ლაბ. მ. თედორაშვილი, სასწ. მოხ. ა. ნამორაძე, მექანიკოსები—ბეჟაშვილი და ბესტაევი.

წლების განმავლობაში კათედრის წევრები ნაყოფიერ სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან.

მათ მიერ შესრულებულია მნიშვნელოვანი თემები: „სასოფლო-სამეურნეო მანქანების საქესპლუატაციო სისტემის თეორიული საფუძვლები, შექმნილია შვიდი მოწყობილობა თვლიანი და მუხლუხა ტრაქტორებისა და მანქანების ავტომატური ზუსტი მართვის მიზნით (პროფ. ა. კეჩხუაშვილი). ამ მოწყობილობების სიახლე დაკულია 14 საავტორო მოწმობით. „მანქანათა ცვეთა-დაზიანების და მათი აღდგენის ოპტიმალური რეჟიმების გამოკვლევა“ (დოც. ი. თუშიშვილი), „ჩაის ამღები მანქანების ცვეთა-დაზიანების და რემონტის ტექნოლოგიური პროცესის გამოკვლევა“ (დოც. ი. თუშიშვილი, დოც. ა. ლუღუშაური), „პოლიმერების გამოყენება მანქანების რემონტის ტექნოლოგიაში“ (დოც. ა. ლუღუშაური), „დეფიციტური უხვკალიანი სასაყისრე შენადნობების შემცველების გამოყენება“ (დოც. ა. ბარბაქაძე).

კათედრის წევრების მიერ გამოქვეყნებულია 160-ზე მეტი მეცნიერული შრომა, გამოცემულია 20-ზე მეტი სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. მრავალი სალექციო კურსი და მეთოდური მითითება.

კათედრის ტექნიკური პერსონალი აქტიურ მონაწილეობასღებულობს სასწავლო პროცესის მომზადებასა და ჩატარებაში.

მასალათა ტექნოლოგიის კათედრის წევრები ახალი შრომითი მიღწევებით ხედებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო თარიღს. ამ თარიღის აღსანიშნავად გამოსაცემად მომზადებულია სახელმძღვანელოები. სალექციო კურსი, მეთოდური მითითებები და სხვ.

**მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციის და შრომის დაცვის კათედრა.** კათედრა ჩამოყალიბდა 1938 წელს. კათედრას სხვადასხვა პერიოდებში ხელმძღვანელობდნენ დოც. ვ. ზოფერია, პროფ. ი. ხოხლოვი, დოც. გ. ცაგარელი, 1972 წლიდან კათედრის გამგეა დოც. გ. შალამბერიძე.

კათედრაში შემავალი დისციპლინები „მტპ ექსპლუატაცია“ და „შრომის დაცვა“ იკითხება ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე. ითვლება ს. მ. მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ფაკ-ის ერთ-ერთ ძირითად საპროფილო-წამყვან კათედრად.

კათედრა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. მის შემადგენლობაში პედაგოგიურ და კვლევით-სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევიან: სოფლის მეურნეობის ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. ი. ხოხლოვი, დოც. გ. ცაგარელი, დოც. ა. ჯერვალიძე, უ/მ. გ. აღასანია, ასისტენტები: ე. ჭეიძე, რ. ცაგარელი, გ. მოსაშვილი, ო. ქის-ტაური. საათური ანაზღაურების წესით მოწვეული არიან ტმკ გ. ჩიტაია, ინჟინ-



რები: ც. დათუციშვილი, ვ. რთველიაშვილი, თ. თაღიაშვილი, ს. გულუაშვილი და სხვები. კათედრის წევრი ტექ ა. ასათიანი ზემდგომი ორგანოების მიერ მივლინებულია ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

კათედრა ყოველწლიურად აღმოჩენებს სასწავლო პროცესში მუშაობის სრულყოფილი, თანამედროვე ტექნიკით და აპარატურით აღჭურვილი. ლაბორატორიები: აგრეგატების დაკომპლექტების, მანქანათა ტექნიკური მომსახურების და დიაგნოსტიკის, ტენზომეტრიული გაზომვების, შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებისა და ცოდნის მანქანური კონტროლის.

მომზადებულია და გამოცემულია 18 სახელმძღვანელო-მონოგრაფია ბროშურა და დიდი რაოდენობის მეთოდური მითითებები.

კათედრა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კვლევით-სამეცნიერო დარგში. ბოლო წლებში დამუშავდა თემები: სატრაქტორო აგრეგატების მუშაობის რეჟიმების დადგენა ფერდობების დამუშავებისას, საძოვრების და სათიბების ძირეული და ზედაპირული დამუშავების ტექნოლოგია, ფერდობებზე თავთავიანი კულტურების ამღები კომბაინის მუშაობის გამოკვლევა, კარტოფილის მოვლა-მოყვანასა და აღებაზე გამოყენებული აგრეგატების ოპტიმალური პარამეტრების დადგენა. თემები დამუშავებულია მაღალ თეორიულ დონეზე, ექსპერიმენტები ტარდებოდა ელექტრონულ-ტენზომეტრიულ, თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობებით, კათედრაზე შექმნილია სათანადოდ სრულყოფილი კვლევითი ბაზა.

კათედრის კვლევით მუშაობაში კათედრის წევრების გარდა მონაწილეობას ღებულობენ სხვა კათედრების და კვლევითი დაწესებულებების ასპირანტები, ფაკ-ის წარჩინებული სტუდენტები.

ბოლო 5 წლის განმავლობაში დატულია 4 და დასაცავად მომზადებულია 4 საკანდიდატო, 1 სადოქტორო დისერტაცია. კათედრის წევრების მიერ სულ გამოქვეყნებულია 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

კათედრაზე საგნის სწავლების და კვლევითი მუშაობის ხაზით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მტა ოპტიმალური პარამეტრების და მტპ ოპტიმალური სტრუქტურის დადგენის და წარმოებაში დანერგვის საკითხებს. მუშავდება მათემატიკური პროგრამირებისა და მოსავლის პროგნოზირების მეთოდების საკითხები.

კათედრას მკიდრო საქმიანი კავშირი აქვს სსრკ სასწავლო და კვლევით სამეცნიერო დაწესებულებებთან.

კათედრის წევრები წარმატებით მუშაობენ საშეფო დახმარების ხაზით, ნერგავენ მეცნიერების და პრაქტიკის მოწინავე მიღწევებს, რაც დიდ ეკონომიურ ეფექტს აძლევს წარმოებას.

მიმდინარე წლის აგვისტოში, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით შრომის დაცვის კათედრა გამოყოფილია, ის დამოუკიდებლად შევა ფაკ-ის შემადგენლობაში.

გამოყენებითი მექანიკის კათედრა. კათედრა ჩამოყალიბდა 1938 წლის დეკემბერში. კათედრის პირველ გამგედ დანიშნული იყო დოც. ი. ვაწაძე, 1947 წლიდან კი დოც. გ. ცქიფურიშვილი.



1972 წლიდან კათედრას ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ე. სეხნიაშვილი.

კათედრა აერთიანებს დისციპლინებს: „მასალათა გამძლეობის მექანიკა“, „მექანიზმების და მანქანების თეორია“, „მანქანათა ნაწილები და ამწე-სატრანსპორტო მანქანები“, „გამოყენებითი მექანიკა“ და „ტექნიკური მექანიკა“. კათედრა მეცადინეობებს ატარებს მექანიზაციის და ელექტროფიკაციის, ჰიდრომელიორაციის, ტექნოლოგიისა და სატყეო-სამეურნეო ფაქულტეტებზე.

კათედრის შტატში ამჟამად ირიცხება: დოცენტები დ. თაქთაქიშვილი, ნ. ხუხუნაიშვილი, ჯ. ნადირაშვილი, უ/მ მ. წოწკოლაური, ასისტენტები: რ. კახნიაშვილი, ტ. პანიევა, უფ. ლაბ. თ. ნარიმანიძე, სასწ. მოხ. ნ. შუბითიძე და ლაბ. ლ. მისურაძე. კათედრაზე რიგი წლების განმავლობაში მუშაობდნენ აწ განსვენებული დოც. ა. ჯაბუა, უფ. მასწავლებელი გ. სვანიძე, სასწავლო ნიშნულე მ. კოლესნიკოვი.

კათედრა მაღალ დონეზე ატარებს სასწავლო პროცესს, გააჩნია თანამედროვე დანადგარებით და აპარატურით მოწყობილი, „მასალათა გამძლეობისა და მექანიზმების თეორიის და მანქანათა ნაწილების“ ლაბორატორიები, კათედრის ლაბორატორიაში მზადდება სასწავლო მოდელები, ხელსაწყოები და ნიმუშები.

კათედრის წევრები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან გამოცემლობის ხაზით. მომზადებულია რა გამოცემულია 10 სახელმძღვანელო, მონოგრაფია, ბროშურა და მრავალი მეთოდური მითითება.

კათედრის ყველა წევრი ჩაბმულია საბიუჯეტო და სახელმწიკრულებო ოქმების დამუშავებაში. ოქმების უმეტესობა დანერგულია წარმოებაში. ასეთებია: „ჰიდროქურთ და წნევის მათანაბრებელი მილი“ (დოც. ი. ვაწაძე), „მსუბუქი რკინა-ბეტონის გამოყენება მაღლივ შენობებში სეისმურ რაიონებში“ (პროფ. ე. სეხნიაშვილი), მაღალშტამბიანი სასუფრე ჯიშის ვენახის რკინა-ბეტონის საყრდენი კონსტრუქციები და სეტყვისაგან ვენახის დამცველი მოწყობილობა. დანერგულია ცენტრალური რკინა-ბეტონის ანძები. დოც. დ. თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით მუშავდება „გაუმჯობესებული ვერტიკალური შპალერი და სეტყვისაგან ვენახის დამცავი მოწყობილობა“, ამ საკითხებთან დაკავშირებით მას მიღებული აქვს 4 საავტორო მოწმობა.

დოც. ნ. ხუხუნაიშვილი მუშაობს სასოფლო-სამეურნეო მანქანებში გამოყენებული სივრცითი მექანიზმების კინემატიკისა და კინეტოსტატიკის საკითხებზე. დოც. ჯ. ნადირაშვილი — თამბაქოს ფოთლების ამკრეფი მოწყობილობის მექანიზმზე, მიღებული აქვს 1 საავტორო. მ. წოწკოლაურის მიერ კონსტრუირებული და დამზადებულია ვენახის მეჩხერიანობის სალიკვიდაციო მანქანა, რომელმაც გაიარა გამოცდა. ამჟამად წარმოებს ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა საგამოცდო ეგზემპლარის დასამზადებლად (მიღებული აქვს 5 საავტორო).

**ფიზიკის კათედრა.** სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრას, რომელიც აგრეთვე ემსახურებოდა აგრონომიულ ფაქულტეტს, ხელმძღვანელობდა პროფ. ა. დიდებულისძე. უნივერსიტეტიდან სასოფლო-სამეურ-



ნეო ინსტიტუტის გამოყოფის შემდეგ 1930 წ. ჩამოყალიბდა ფიზიკისა და მეტეოროლოგიის კათედრა, რომლის გამგედ არჩეული იყო პროფ. ი. გაჩეჩილაძე, მას დიდი დამსახურება მიუძღვის ფიზიკისა და მეტეოროლოგიის განვითარების გაუმჯობესების საქმეში. მანვე შეილთან ერთად, მოაწყო ქვემოთაღნიშნული იესო ლაბორატორია. ფიზიკის კათედრას ხელმძღვანელობდნენ: დოცენტები ა. გაჩეჩილაძე, ვ. ლომინაძე, ვ. ქათამაძე, ხოლო 1962 წელს არჩეული იყო პროფ. ს. გუნია, რომელიც მას ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე (1977 წ.).

კათედრაზე სხვადასხვა დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ დოცენტები: ვ. მამასახლისოვი, კ. კელენჯერიძე, გ. ლლონტი, ე. მიქაძე, რ. ციტაიშვილი, გ. ასლანიძე, კ. გორდენიანი, ნ. ყიფშიძე, გ. შენგელია, ი. სააკაშვილი, გ. დოცენკო.

ამჟამად კათედრაზე მუშაობენ: პროფ. გ. ჩიჩუა, დოცენტები: გ. ესიაშვილი, ი. გაფრინდაშვილი, ნ. ნადიბაიძე, უფ. მასწ. ბ. მიშველაძე, ზ. სურგულაძე, ასისტ. თ. მეგრელიშვილი, უფ. ლაბორანტი რ. თაქთაქიშვილი, ლაბორანტები: რ. კვანტალიანი, ნ. კიკოშვილი, და ნ. ხარჩილაძე. კათედრის განვითარებაში აქტივობის საღმრთო სალექციო აუდიტორია და ლაბორატორიები.

კათედრის თანამშრომლები ეწევიან ინტენსიურ კვლევით-სამეცნიერო მუშაობას. მათ სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკის საკითხები დაკავშირებულია ნიადაგის, მცენარის, კლიმატის შესწავლასთან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მიზნით. ასე, მაგალითად: „ქვემოქუხილის პროცესები ამიერკავკასიის პირობებში“ (პროფ. ს. გუნია), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდის პროგნოზირებისა და სეტყვისთან ბრძოლის საქმეში. „საქართველოს ნიადაგის ძირითადი ტიპების სითბურ მახასიათებლებს“ აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, შედეგების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია მონოგრაფიებში (პროფ. გ. ჩიჩუა). „მცენარეების დამოკიდებულების გამოკვლევა ნიადაგსა და ნიადაგის ჰაერთან“. „რადიაციული ბალანსის ზოგიერთი მახასიათებელი და მისი როლი ტემპერატურული ველის ფორმირებისათვის“ (დოცენტები ი. გაფრინდაშვილი, ნ. ნადიბაიძე). ამ თემების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

კათედრის წევრები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან გამომცემლობის და მეოთხედი მუშაობის დარგში.

სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შუქზე ფიზიკის კათედრამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაუკავშირა ფიზიკის მიღწევების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში. მე-10 ხუთწლედში კათედრის წევრები მუშაობენ პრობლემის: „საქართველოს ნიადაგისა და ატმოსფეროს ქვედა ფენების ზოგიერთ ფიზიკური მახასიათებლის დადგენის“ ცალკეული საკითხების შესწავლისა და პრაქტიკული შედეგების მიღებაზე, რომლებსაც ექნებათ გარკვეული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის აქტუალური საკითხების გადაჭრის საქმეში.

ელექტროამპრაჟისა და ელექტროტექნიკის კათედრა დამოუკიდებელ კათედრად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა 1938 წ. კათედრის გამგედ არჩეული იყო ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკად. ა. დიდ-

ბუღიძე, პროფ. ა. დიდებულის ძირითად სამუშაოდ საქართველოს მეტროლოგიაში და აკადემიაში გადასვლის გამო 1946 წ. კათედრის გამგედ დანიშნა დოც. ნ. ზირაქაძე.

## ეროვნული მეტროლოგიის

კათედრა მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სოფლის მეურნეობის ელექტროენერჯის გამოყენების სხვადასხვა საკითხის დანერგვაში. კათედრა სასწავლო პროცესს ატარებდა ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე და კითხულობდა დისციპლინებს: საინჟინრო სპეციალობებზე — ელექტროტექნიკის ზოგად კურსს, ხოლო აგრონომიულ სპეციალობებზე — ს. მ. ელექტრიფიკაციას.

1963 წლიდან ს. მ. მექანიზაციის ფაკულტეტთან დაარსდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობა, რის შემდეგ კათედრა მაპროფილებელი გახდა. კათედრაზე იკითხებოდა 14 საგანი, გაიზარდა კათედრის წევრთა რიცხვი. 1966 წ. კათედრის გამგედ დანიშნა დოც. შ. აბზიანიძე. კათედრაზე სხვადასხვა პერიოდში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ: დოც. ნ. ვარდანიძე, ასისტენტები ა. ისაკაძე და ა. კოტია.

1977 წ. კათედრის გამგედ არჩეულ იქნა საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ვ. მეტრეველი.

ამჟამად კათედრის შტატში ირიცხებიან: დოც. ვ. ქაშაყაშვილი, უფრ. მ.ს.წ. ელმბლები ა. დიდებულიძე, ი. კაკიაშვილი, შ. ქელიძე, ასისტ. გ. ლოლობერიძე, ს.ს.წ. მოხ. გ. ქუთათელაძე, ლაბ. რ. მამალაძე და ნ. კენჭიაშვილი. კათედრას გააჩნია კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, აღჭურვილი თანამედროვე ელექტროდანადგარებით და აპარატებით, სასწავლო პროცესში ფართოდ ინერგება თანამედროვე ტექნიკური საშუალებები.

კათედრასთან ჩამოყალიბებულია დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. კვლევით მუშაობაში ჩაბმულია კათედრის ყველა წევრი და სტუდენტობა. ამჟამად მუშავდება ისეთი აქტუალური თემები, როგორცაა ენახების მოსავლის პროგრამირების ტექნიკური საშუალებების დამუშავება და მთის პირობებში საკვებმომპოვების ელექტრომექანიზაცია.

კათედრის წევრები ნაყოფიერად მუშაობენ სასწავლო-მეთოდურ დარგში. ქართულ ენაზე მომზადებულია და გამოცემულია 7 სახელმძღვანელო და სალექციო კურსი, აგრეთვე რამდენიმე მეთოდური მითითება.

1969 წ. კათედრას გამოეყო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრა.

**სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრა.** საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ს/მ ელექტრიფიკაციის კათედრა ჩამოყალიბდა 1969 წელს ელექტროტექნიკის კათედრის გაყოფის შედეგად. დაარსების დღიდან კათედრას ხელმძღვანელობს დოც. ვ. მშვიდლობაძე. კათედრა არის მაპროფილებელი ს/მ ელექტრიფიკაციის სპეციალობისათვის, დაარსების დღიდან გამოშვებულია 200-მდე სტუდენტი, მათ შორის 12 წარჩინებული დიპლომით. ასპირანტურა დაამთავრა 2 ასპირანტი, ამჟამად სწავლობს 1 დასწრებული და ორი დაუსწრებელი ასპირანტი. უნდა აღინიშნოს, რომ კათედრა ფართო პროფილისაა, მისი 5 მასწავლებელი კითხუ-



ლობს 15 საგანს როგორც დღის დასწრებულ, ასევე დაუსწრებელ განყოფილებებზე და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

კათედრის შტატში ირიცხება: დოც. გ. მშვიდლობაძე, პროფ. მარქანაძე, დოც. გ. ტიციშვილი, ასისტენტები: დ. იმნაძე, ა. ვაშაქიძე, უფ. მექანიკოსი გ. რუსია, ლაბორანტი გ. ბიბილეიშვილი.

ინსტიტუტის სამეცნიერო-თემატური გეგმის შესაბამისად კათედრაზე და-მუშავებულია სამეცნიერო თემა: «Исследование фактических и проектирование перспективных режимов с.-х. нагрузок по Груз. ССР», რომელიც შესრულებულ იქნა „სელენერგოპროექტის“ უკრაინის განყოფილებასთან დადებული სახელშეკრულებო თემის შესაბამისად 1972—1973 წლებში. კათედრაზე მუშავედა თემა: «მცირე მექანიზაციის ელექტრიფიცირებული ტექნიკური საშუალებების დამუშავება მებაღეობისათვის, მევენახეობისა და მეცხოველეობისათვის: შექმნილია ხელის სათიბელას ორი კონსტრუქცია და გადასაგორებელი ელექტროსათიბელა, ამ მანქანების საცდელი პარტიები მომზადებულია საველე გამოცდებისათვის. დამთავრებულია საპროექტო დოკუმენტაცია ხელის ელექტრიფიცირებული ხერხისათვის.

კათედრის თანამშრომლები ლებულობენ მონაწილეობას რესპუბლიკურ და რეგიონალურ სამეცნიერო კონფერენციებში, აქვეყნებენ სამეცნიერო შრომებს. სულ 1972—1976 წლებში მათ მიერ გამოქვეყნებულია 45 შრომა, მათ შორის 4 — საკავშირო ჟურნალებში.

კათედრის წევრები იმალდებენ თავის კვალიფიკაციას, უკანასკნელ წლებში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები დაამთავრეს დოც. გ. მშვიდლობაძემ, ასისტ. ა. ვაშაქიძემ, ასისტ. დ. კახიანმა, დოც. ა. ტიციშვილმა, ასისტ. დ. კახიანმა და იცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ს/მ ელექტრიფიკაციის კათედრაზე ამჟამად მოწყობილია 5 ლაბორატორია; ძირითადად სალაბორატორიო სტენდები აღჭურვილია ახალი მოწყობილობებით.

**მანქანათა სასწავლო პარკი.** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების მიერ ტექნიკის გამოყენების და მართვის უკეთ დაუფლების მიზნით, ტექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა მანქანათა სასწავლო პარკი:

პარკი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით: ტრაქტორებით, სას.-სამ. მანქანა-იარაღებით და ავტომობილებით. სასწავლო პარკში საინჟინრო და აგრონომიული სპეციალობის სტუდენტებს ასწავლიან ტექნიკის მატერიალურ ნაწილს, ტრაქტორების, რთული სას.-სამ. მანქანებისა და ავტომობილების გამოყენებასა და მართვას. ამ საქმეს ხელმძღვანელობს უ/მ კ. გაბრიჩიძე.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა საუკეთესო მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 საიუბილეო წელს, ინსტიტუტის მთლიან კოლექტივთან ერთად ეხმაურებიან სკკპ პარტიის და მთავრობის მოწოდებებს და დავალებების შესრულების საქმეში მუდამ მოწინავეთა რიგებში არიან. აღსანიშნავია ფაკულტეტის საქმიან-





ნობა შრომაში, სწავლაში, მეცნიერულ მუშაობასა და მოწინავე გამოცდლებს დანერგვის საქმეში.

ფაკულტეტის სტუდენტების 40% გაერთიანებულია სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ყოველწლიურად 100-ზე მეტი სტუდენტი გამოდის მოხსენებებით, რეფერატულ და კვლევითი ხასიათის თემებზე საფაკულტეტო, საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციებზე.

1956 წლიდან 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად ფაკულტეტის 120—150 სტუდენტი მონაწილეობდა ყამირ მიწებზე მოსავლის აღების საქმეში. მიღწეული წარმატებებისათვის ფაკულტეტის 24 წარმომადგენელი დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოთი, მედლით „ყამირის ათვისებისათვის“.

საქ. კპ ცკ და ს. მ. სამინისტროს დავალებით ფაკ-ის თანამშრომლებისა და სტუდენტების მიერ 1961 წელს დანერგილი იყო სიმინდის კვადრატულ-ბედობრივი თესვა 1000 ჰა ფართობზე გარდაბნის რაიონის ჯანდარის საბჭოთა მეურნეობაში—ამ საქმეში თავი ისახელეს: ზ. ხანთაძემ, ა. აფხაიძემ, ი. თუმეშვილმა, ე. რამაზაშვილმა, ნ. სურგულაძემ, რ. ცაგარელმა და 40-მა სტუდენტმა გ. ქურდიანის, ა. ასათიანის და გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფაკულტეტის თანამშრომლები და 200—300 სტუდენტი ყოველწლიურად მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში მოსავლის აღებაში, თივის დამზადებაში, ხვნასა და მშენებლობებზე. მათი წარმატებები აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით, მაღლობებითა და სიგელებით.

ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაცია და კათედრები დროულად გამოეხმაურნენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას და კვლევითი მუშაობის შედეგებს უშუალოდ წარმოებში.

ფაკულტეტმა წარმატებით შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 საიუბილეო წელთან დაკავშირებული ვალდებულებები.





1651

ბ. ჩიკვაშვილი

სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სარწყავ-მაშრომბი სისტემების  
 რაციონალურად გამოყენების ძირითადი საკითხები

1. ზოგადი მონაცემები ჰიდრომელიორაციის ფაქტორების საქმიანობაზე.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა სოფლის მეურნეობის წინაშე აყენებს უდიდეს ამოცანებს, რომელთა სწორ და დროულ გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის დაჩქარება.

ისმება კითხვა — როგორია ამ პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტის გზები? სოფლის მეურნეობის განვითარების გამაძლეველი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, მელიორაცია და ქიმიზაცია.

სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული — სოფლის მეურნეობის წარმოება უნდა იყოს იმგვარად ორგანიზებული, რომ მან ყოველწლიურად, ყოველგვარ ამინდში უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მელიორაციული მიწათმოქმედების ფართო განვითარებით.

ჩვენი მთავრობა ყოველწლიურად უამრავ თანხას ხარჯავს სარწყავი სისტემების მშენებლობაზე. თუ, მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში საინჟინრო ტიპის მხოლოდ ერთი — ყარაიაზის სარწყავი სისტემა და თხუთმეტამდე პატარ-პატარა არხი არსებობდა, ამჟამად რესპუბლიკაში ფუნქციონირებს საინჟინრო ტიპის მრავალი სარწყავი სისტემა უნიკალური და ურთულესი ჰიდროტექნიკური ნაგებობებით, როგორც, მაგალითად, ალაზნის, სამგორის, ტირიფონის, სალთვისის, ტაშისკარის, თეზი-ოკამის, მუხრანის, საბჭოთა მაშველის და ა. შ. მშენებლობის პროცესშია ისეთი უნიკალური და ურთულესი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მქონე ობიექტები, როგორიცაა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა, 80 მეტრი სიმაღლის წყალსაცავიანი კაშხალი მდინარე პატარა ლიახზე, ზილიჩის სარწყავი სისტემა და მრავალი სხვა.

რესპუბლიკაში დიდი სამუშაოებია ჩატარებული და ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა კოლხეთის ქარბტენიანი მიწების დასაშრობად, ალაზნის მლა-2. შრომები, ტ. 101, 1977

კ. ბარჭისის სახ. საქ. სსრ  
 მახვომწიფო რესპუბლიკა

შე მიწების სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების, საძოვრების გაწყლიანებისა და სხვა მრავალ მელიორაციულ საკითხებთან დაკავშირებულ დარგებში.

ერქვენული

ყველა ზემოთ აღნიშნულ მელიორაციულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანი როლი წყალსამეურნეო ობიექტების დაპროექტებას, შენებასა და ექსპლუატაციას, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მელიორაციული მიწათმოქმედების წარმართვას ხელშეწყობენ მელიორატორები.

სწორედ ასეთი კადრების აღზრდას ემსახურება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი.

ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 1974 წელს ჩამოყალიბდა. იგი აერთიანებს ორ განხრას: საკუთრივ ჰიდრომელიორაციას და აგრომელიორაციას. ჰიდრომელიორაციის განხრის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ენიჭება „ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის“ კვალიფიკაცია, რომლის საქმიანობის ძირითად სფეროს წყალსამეურნეო ობიექტების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია შეადგენს.

აგრომელიორაციის განხრის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია და მათი გამოყენება წარმოებაში ძირითადად ხდება სარწყავი ან დაშრობილი მიწების ზონაში.

თანახმად ჩვენი რესპუბლიკის განვითარების პერსპექტიული გეგმისა, უახლოეს ათწლეულში საქართველოში გათვალისწინებულია დაპროექტდეს და აშენდეს ახალი სარწყავი სისტემები 200—230 ათას ჰა ფართობზე, მოხდეს რეკონსტრუქცია და ამალდეს წყლით უზრუნველყოფა არსებულ სარწყავ სისტემებზე, რომლებიც ემსახურებიან 170—200 ათას ჰა ფართობს. მომავალში გათვალისწინებულია დამატებით 40 ათასი ჰა ფართობის დაშრობა, შემდგომ 5—10 წელიწადში — კოლხეთის მიწების სრული დაშრობა და ათვისება.

აღნიშნულთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ ამჟამად რესპუბლიკაში სოფლის ქვეფური წყალსადენების მასობრივ მშენებლობას, საძოვრების გაწყლიანებით და ამავე დროს მელიორირებული მიწების ექსპლუატაციის აუცილებლობას, მაშინ ნათელი ხდება, თუ რა დიდი პერსპექტივებია ჩვენს რესპუბლიკაში (მით უმეტეს კავშირის მასშტაბით) იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი ამზადებს.

ფაკულტეტი აღჭურვილია სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებით, სამხაზველო აუდიტორიით. ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულია სამეცნიერო და საგნის მოყვარულთა წრეები. სტუდენტები გაერთიანებული არიან სპორტის სხვადასხვა სახეში, მხატვრულ თვითმოქმედებაში და ა. შ.

სტუდენტები სასწავლო და სამშენებლო-საექსპლუატაციო პრაქტიკას გადიან ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ მეურნეობებში, რესპუბლიკის მსხვილ სამშენებლო წყალსამეურნეო ობიექტებზე, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სამშენებლო და საექსპლუატაციო ობიექტებზე, საპროექტო ინსტიტუტებში.



ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებზე დიდი მთხოვნილებაა. მათ შეუძლიათ წარმატებით იმუშაონ როგორც სოფლად, ისე ქალაქად სხვადასხვა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტულ სფეროებში, საპრობლემო ლაბორატორიებსა და ყველა იმ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაში, სადა მოხერხდება მათი დასაქმება. ამ კიდევ მის მავნე მოქმედებასთან ბრძოლის საკითხებს შეეხება.

ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი ხუთ კათედრას აერთიანებს (მათ შორის სამი კათედრა მაპროფილებელია), სახელდობრ:

1. ჰიდრაულიკის და სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრა (გამგე - პროფ. ო. ნათიშვილი).
2. სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის კათედრა (გამგე დოც. გ. ტულუნი);
3. ჰიდრომელიორაციულ სისტემათა ექსპლუატაციის კათედრა (გამგე პროფ. ბ. ჩიკვაშვილი);
4. უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრა (გამგე დოც. კ. კვანტალიანი);
5. მხაზველობითი გეომეტრიისა და სამშენებლო ხაზვის კათედრა (გამგე - პროფ. ე. მჭედლიშვილი);

დასახელებულ კათედრებზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები დიდი აღზარდობით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვების მოახლოვებულ საიუბილეო-მესამოცე წლისთავს. მათ მიერ დამუშავებული რიგი პრობლემატურ-მეცნიერული საკითხი სრულდება დევიზით: „ღირსეულად წევხვდეთ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მესამოცე — საიუბილეო წლისთავს“. ფაკულტეტის კურსდამთავრებული სპეციალისტები საქმიანი შერბრთებით მუშაობენ წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის სხვადასხვა დარგებში, ბევრი მათგანი ხელმძღვანელობს წამყვან სამინისტროებს და უწყებებს. ნაწილმა კი დაიცვა სამეცნიერო დისერტაციები და დიდი წარმატებით მოღვაწეობს სხვადასხვა მაპროფილებელ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტებში. მაგალითისათვის შეიძლება დავთვალოთ, რომ საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობს ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ჯ. ქაჯაია, იმავე სამინისტროს წყალსამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობს ჯ. ტვილდიანი, ხოლო სოფლის წყალსადენების ექსპლუატაციის მთავარ სამმართველოს კიტქენ. მეცნ. კანდიდატი ვ. მულაძე, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან დოც. თ. ქაცარავა, დოც. ა. ხურცილავა და სხვ.

ფაკულტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლების მიერ გამოცემული მრავალი მეცნიერული მონოგრაფია, სტატია, სასწავლო სახელმძღვანელო და მეთოდური მითითება, ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ და გამოდიან მოხსენებებით მსოფლიო და საკავშირო სიმპოზიუმებსა და სემინარებზე, კონფერენციებზე, ჰიდრაულიკის, ჰიდროდინამიკისა და ჰიდრომელიორაციის პროფილით, ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან კავშირის მასშტაბით მო-



ნათესავე ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო კვლევებსა და კოლეგიებში, როგორც მათი წევრები. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო დისერტაცია და აგრეთვე მიღებულია საავტორო მოწმობები გამოგონებებზე.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ კათედრების სამეცნიერო თემატიკაში, ამუშავებენ სამეცნიერო საკითხებს და გამოდიან მოხსენებებით საკავშირო, რესპუბლიკურ, საქალაქო და საინსტიტუტო კონფერენციებზე.

ფაკულტეტს მჭიდრო სამეცნიერო კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის მრავალ სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტთან, როგორც მაგალითად, მოსკოვის ჰიდრომელიორაციულ სასწავლო, ლენინგრადის ჰიდროტექნიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით, ლენინგრადის პოლიტექნიკურ, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო და სხვადასხვა რესპუბლიკების სამეცნიერო-კვლევით, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტებთან, მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან და სხვ.

ქვემოთ ზოგადად ჩამოყალიბებულია ყველა ის საკითხი, რომელთა მეცნიერული შესწავლა მიმდინარეობს (ან კიდევ განზრახულია მომავალში) ფაკულტეტის მპროფილებელ კათედრებზე.

**II. სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და მელიორაციული სისტემების რაციონალურად გამოყენების ზოგიერთი საკითხი**

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების კვლავწარმოების გაფართოება შეიძლება განხორციელდეს ორი ძირითადი გზით: ექსტენსიურად, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება აღწევნ მხოლოდ დასამუშავებელი მიწის ფართობების გადიდებით და ინტენსიურად, როცა ერთსა და იმავე მიწის ფართობზე იღებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სულ უფრო და უფრო მზარდ რაოდენობას მიწათმოქმედების მაღალი კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების მაქსიმალურად გამოყენებისა და სარწყავი მიწათმოქმედების შემოღების შედეგად მიწის ნაყოფიერების გადიდების ანგარიშზე.

მიწათმოქმედების განვითარების ექსტენსიური გზა, უდავოდ, არ გამოდგება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ძირითად მიმართულებად, რადგანაც ჭერ ერთი, იგი ვერ უზრუნველყოფს მიწის ნაყოფიერების ზრდას და მეორეც, დასამუშავებელი მიწების ფართობების გადიდება არ შეიძლება დაუსრულებელი იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის მასივების სივრცის შეზღუდულობის გამო. ასე, რომ სოფლის მეურნეობის მაქსიმალურად განვითარების ძირითად გზად უნდა ჩაითვალოს მეურნეობის ინტენსიური წარმოება და ამის საფუძველზე თითოეულ ჰა მიწის ფართობზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავლიანობის გადიდება ერთეულ პროდუქციაზე შრომისა და წარმოების საშუალებათა დანახარჯების ერთდროულად მაქსიმალურად შემცირებით.



ვ. ი. ლენინი, იკვლევდა რა სოფლის მეურნეობის განვითარებას, საზღვარ-  
 მით აღნიშნავდა, რომ „სოფლის მეურნეობა აქ ვითარდება უმეტესწილად ტექ-  
 ტენსურად, არა დამუშავებული მიწის რაოდენობის გადიდებით, არამედ დამუშავების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებით. მიწის წინანდელ  
 რაოდენობაში დაბანდებული კაპიტალის ოდენობის გადიდების საშუალებით  
 (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 22, გვ. 73—74, ქართული გამოცემა).

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გადამწყვეტ ფაქტორებად უნდა  
 ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის სამუშაოთა წარმოების მექანიზაცია და  
 ელექტრიფიკაცია, ირიგაცია და მელიორაცია, ქიმიური მრეწველობისა და სო-  
 ფლის მეურნეობის მეცნიერებათა მიღწევების გამოყენება, მეურნეობის, მი-  
 წათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებუ-  
 ლი სისტემების რაციონალურად და დროულად დანერგვა, ნიადაგის ჩამორე-  
 ცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო  
 წარმოების ყველა დარგის ინტენსიფიკაციის ხელშემწყობი სხვა ღონისძიებე-  
 ზის განხორციელება.

ამასთან ინტენსიფიკაციის შედეგების ყველაზე უფრო ეფექტურად გამო-  
 ყენებისათვის საჭიროა, რომ აქ ჩამოთვლილი ცალკეული ფაქტორი გამოყენე-  
 ბული იქნეს ერთმანეთთან კომპლექსში.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაში განსაკუთრებით დიდია როლი  
 სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, რომლებიც მნიშვნელოვნად ამსუბუქებენ  
 ადამიანის შრომას, კვეცავენ წარმოების ვადებს, აუმჯობესებენ მიწე-  
 ზის დამუშავების ხარისხს და ყოველივე ამის გამო, მატულობს მოსავლიანობა.

ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია დაისახოს სათანადო ღონისძიებანი უახ-  
 ლეს წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის  
 აღების და პროდუქციის შემდგომი დამუშავების ნაკადურ ტექნოლოგიაზე გა-  
 დასვლის განსახორციელებლად. ამ ღონისძიებათა სპეციფიკურ რელიგიოზურ  
 განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს სოფლის მე-  
 ურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინს-  
 ტიტუტმა, რომლისაგანაც სოფლის მეურნეობის მუშაკები და, პირველ რიგში,  
 ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები მოელიან სრულფასოვანი ჩაის საკრეფი და  
 სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნას. გარდა ამისა, საჭიროა მათ  
 შექმნან ისეთი სამელიორაციო მანქანები, რომლებიც კოლხეთის სპეციფიკურ  
 ნიადაგ-გრუნტის პირობებში საშუალებას მოგაციმენ მაქსიმალურად მექანი-  
 ზებული გავხადოთ კოლხეთის დაბლობი მიწების დაშრობისა და ათვისების  
 ყველა სამუშაო, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ რაიონში სასოფლო-სამეურნეო  
 პროდუქციის უხვი და სტაბილური მოსავლის მიღების გარანტია იქნება.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ზემოთ ჩამოთვლილი გადამწყვე-  
 ტი ფაქტორებიდან, მექანიზაციასთან ერთად, საქართველოს პირობებში ყვე-  
 ლაზე მნიშვნელოვნად აგრეთვე უნდა ჩაითვალოს მიწების მელიორაცია (მორ-  
 წყვა და დაშრობა), ვინაიდან მელიორაციულ მიწათმოქმედებაშია სოფლის მე-  
 ურნეობის ინტენსიფიკაციის დიდი რეზერვები. მაგალითად, საყოველთაოდ  
 ცნობილია, რომ სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში ჩაისა და სხვა სასოფ-



ლო-სამეურნეო კულტურების მისავლიანობა საშუალოდ 25-40 პროცენტით და უფრო მეტით მატულობს. სწორედ ამიტომ ჩვენი პარტია და მოსახლეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხს. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მელიორაციული მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საფუძველზე.

წყალთა მეურნეობის ახალი ობიექტების მშენებლობა მეცნიერების, კონსტრუქტორებისა და ჩვენი რესპუბლიკის სოფლისა და წყალთა მეურნეობების ყველა მუშაის წინაშე აყენებს მთელ რიგ მნიშვნელოვან ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული სარწყავი და დასრობილი მიწათმოქმედების ეფექტურობა.

ამასთან პირველ რიგში აუცილებელია გამოვნახოთ არხებიდან სარწყავი წყლის დანაკარგების ლიკვიდაციის ყველაზე უფრო მისაღები და ამავე დროს ეკონომიური მეთოდები, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც წყალი ძალიან დეფიციტურია. ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სარწყავი სისტემების უმრავლესობაში არხები არაფრით არ არის მოპირკეთებული, რაც იწვევს წყლის მნიშვნელოვან დანაკარგებს ფილტრაციის შედეგად. რიგ სარწყავ სისტემაში ეს დანაკარგები 50 პროცენტზე მეტს შეადგენს. ასე, რომ პირდაპირი დანიშნულებით, მეტ შემთხვევაში, გამოყენებულია სისტემისათვის მიწოდებული წყლის მხოლოდ ნახევარი. ეს მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკის მრავალ რაიონში განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში, სარწყავი წყალი გაცილებით იმაზე ნაკლებია, რაც ფაქტიურად საჭიროა აქ არსებული დასამუშავებელი მიწების მოსარწყავად.

საჭიროა არსებულ სარწყავ სისტემებსა და იმათში, რომლებიც ახლად შენდებიან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების გათვალისწინებას. ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე უფრო რეალური გზა არხების მოპირკეთება „საქსახინწყალპროექტი“-ს სისტემების ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ღარებით. მიზნიდევლად გვეჩვენება ამ მიზნისათვის აგრეთვე ახალი სინთეზური მასალების გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენში სარწყავი არხების უმრავლესობა სისტემატურად საჭიროებს დანალექებისაგან გაწმენდას, რის გამოც სინთეზური აპკები შესაძლებელია დაზიანდეს. შემდგომში სარწყავი არხების მოსაპირკეთებლად შეიძლება დიდი გამოყენება ჰპოვონ მინალასტებისაგან დამზადებულმა მაღალი სიმტკიცის მოსაპირკეთებელმა მასალებმა. ამასთან ერთად საჭიროა, აგრეთვე, შესწავლილი იქნეს ღია სარწყავი არხების დახურულით მაქსიმალურად შეცვლის საკითხი, რადგანაც ეს კიდევ მეტად ამაღლებს სარწყავი წყლის გამოყენების ხარისხს და ამარტივებს მექანიზმების მანევრირებას მიწების დამუშავების დროს. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ ფილტრაციის თავიდან აცილების მეოხებით რიგ შემთხვევაში შეიძლება ერთიორად გავადიდოთ სარწყავი ფართობი.



ჩვენი რესპუბლიკის სოფლისა და წყალთა მეურნეობის დარგის მეცნიერთა წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. საჭიროა ხელახლა განვიხილოთ (ან დაზუსტდეს) როგორც არსებული, ისე იმ მიწების ჰიდროლოგიური, ლიორაციული თვისებები, რომელთა ათვისება შემდეგ მოხდება მელიორაციულ მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის გათვალისწინებით. ამ მიზნით თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა გამოთქვას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მელიორაციის კათედრამ, სადაც წლების განმავლობაში მუშავდება სარწყავი ნორმების დადგენა სხვადასხვა რაიონებისათვის. უნდა დაზუსტდეს სარწყავი ნორმები და ვადები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როცა სარწყავად გამოყენებული იქნება დამწვინებელი აგრეგატები. საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სოფლის მეურნეობის წარმოებაში მის მიერვე დამუშავებული დამლაშებული მიწებისაგან სიმლაშის მოცილების მეთოდის დანერგვას და ამით დააჩქაროს ალაზნის ველის დამლაშებული მიწების მთლიანად ათვისება.

ცნობილია, რომ ყოველ ნიადაგს გააჩნია განსაზღვრული ბუნებრივი ნაყოფიერება, მაგრამ როცა მის დამუშავებას იწყებენ, მაშინ მისი ბუნებრივი ნაყოფიერება საგრძნობლად იცვლება. იგი შეიძლება გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს იმის მიხედვით, სწორად თუ არასწორად მუშავდება ნიადაგი. თუკი ნიადაგის დამუშავებისას უმჯობესდება წყალ-ჰაერის რეჟიმი, გროვდება ნაყოფიერების ელემენტები, ნიადაგს სცილდება მცენარისათვის მავნე მარილები, ამ შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერებაც უმჯობესდება და პირიქით, თუკი ნიადაგზე ზემოქმედების შედეგად უარესდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება, ნიადაგის ნაყოფიერებაც უარესდება.

ცნობილია ასევე ისიც, რომ მცენარეულობათა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია ნიადაგში საკვები ნივთიერებების არსებობასთან ერთად იყოს აგრეთვე წყლის განსაზღვრული რაოდენობაც, რასაც აკადემიკოსი ვ. ვილიამსი ასე განმარტავდა: „მხოლოდ წყლისა და საკვების ერთდროულად უზრუნველყოფის უნარს აქვს რეალური მნიშვნელობა, მხოლოდ ამ ორი თანაბარი მნიშვნელობის შემცველი ფაქტორის უნარი ერთდროულად დაკმაყოფილოს მცენარის სიცოცხლე, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნიადაგის ნაყოფიერება“.

ამავე საკითხზე კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსისადმი მიწერილ წერილში. (26. XI. 1869.) წერდა: „ნაყოფიერება სრულიადაც არ წარმოადგენს ნიადაგის ისეთ ბუნებრივ თვისებას, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობასთან“. ნიადაგის ბუნებრივი და ეკონომიური ნაყოფიერება, აღნიშნავდა იგი: „ესაა ერთიანი პროცესის ორი მხარე. ნიადაგის ეკონომიური ნაყოფიერების საფუძველს მისი ბუნებრივი ნაყოფიერება წარმოადგენს, ხოლო ნიადაგის დამუშავების წესების გაუმჯობესება შესაძლებლობას იძლევა შეიცვალოს და ამაღლდეს მისი ნაყოფიერება“. ამ გაგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიადაგის ნაყოფიერება ერთსა და იმავე დროს არის როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენა. ამრიგად, ნაყოფიერება ეს ნიადაგის ისეთი ობიექტური,





სპეციფიკური თვისებაა, რომელიც მისი რაციონალურად გამოყენების პირობებში უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მზარდ მოსავლიანობას.

ასე, რომ ყველა ამ საკითხის სწორად გადასაწყვეტად მშენებლობის ტექნიკურმა აუცილებელია იცოდნენ, თუ როგორია ნიადაგები მეურნეობაში და როგორ უნდა გვაუმჯობესოთ მათი დამუშავება. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ერთი და იგივე ნიადაგი შეიძლება ერთი მცენარისათვის ნოყიერი იყოს, მეორისათვის, პირიქით — მწიერი. ასე, მაგალითად, ქაობის მცენარეები კარგად იზრდებიან ქაობებში, ხოლო რაც შეეხება ასეთ ნიადაგებში ხორბლის მოყვანას, ამ მოზნისათვის ასეთი ნიადაგი ნაკლებად ნოყიერი იქნება. მაგრამ თუკი აღრევე გვეცოდინება ნიადაგის დადებითი და უარყოფითი თვისებები, სათანადო აგროლონისძიებების განხორციელებით შეიძლება გვაუმჯობესოთ მათი ხარისხი. მაშასადამე, ამა თუ იმ მეურნეობის ტერიტორიის გამოყენებისას საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, შევისწავლოთ მისი ნიადაგის საფარი და შევადგინოთ ნიადაგის რუკა, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ძირითად დოკუმენტს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის ყველა ღონისძიების დამუშავების დროს.

**III. მელიორაციულ მშენებლობაში სინთეტიკური მასალების გამოყენების პერსპექტიულობის ზოგიერთი საკითხი**

მელიორაციული სამუშაოების ფართო პროგრამამ, რომელიც ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ არის განსაზღვრული უახლოესი წლებისათვის, ვანაპირობა ჰიდრომელიორაციული სისტემების მშენებლობის დიდი გაჯანება მთლიანად საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში. ამიტომ სპეციალისტების მისწრაფება, ჰიდრომელიორაციული სისტემების დაპროექტებისას გამოიყენონ ახალი სამშენებლო მასალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კაპიტალდაბანდების ეფექტიანობას, წარმოების ეკონომიკურ განვითარებას, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებას, წარმოადგენს არა მარტოდროულ, არამედ აუცილებელ პირობას.

ეს ვასაგებიც არის, რადგან წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობისათვის დამახასიათებელია მშენებლობის დიდი ბაზა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მზა პროდუქციის უფრო მაღალი ღირებულება. ჰიდრომელიორაციული (ჰიდროტექნიკური) მშენებლობის ასეთი თავისებურება მოითხოვს ყოველდღიურ კვლევას, შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, კერძოდ სამშენებლო კონსტრუქციების შემსუბუქებას, სატრანსპორტო დანახარჯებისა და მშენებლობის ვადის შემცირებას.

ჰიდროტექნიკური მშენებლობა უკანასკნელი 100 წლის მანძილზე მიმდინარეობდა და შეიძლება ითქვას ამჟამადაც მიმდინარეობს უკიდურესად ხისტი მასალებისაგან (ბეტონი, რკინა-ბეტონი, ქვა და სხვ.) შექმნილი კონსტრუქციებისა და სრულყოფის გზით. ასეთი კონსტრუქციების მაღალი სიმტკიცე შერწყმულია მათ სიხისტესთან. ეს თვისება აუცილებელია ნაგებობების ნორმალური

მუშაობისათვის, მაგრამ ხშირად უარყოფით როლს ასრულებს — საშუალებებს არ გვაძლევს ნაგებობა მსუბუქი წონისა დავაპროექტოთ. ხის კონსტრუქციებს (ტრადიციული მასალებისაგან) ჩვეულებრივ ერთნაირი მოცულობისაა, როგორც მუშა, ისე არამუშა მდგომარეობაში. ამიტომ მათი ტენიანობა და მონტაჟი მოითხოვს მძიმე ამწესატრანსპორტო საშუალებებს. გარდა ამისა, ასეთი ნაგებობების ავტომატიზაციის პროცესი გაძნელებულია მათი სიხისტი-  
გამო.

ბოლო დროს მსოფლიო მშენებლობის პრაქტიკაში გამოჩნდა ახალი მი-  
მართულება, რომელიც დაკავშირებულია რბილი მასალებისაგან შექმნილი  
კონსტრუქციების გამოყენებასთან და რომელსაც პირობითად რბილი კონსტ-  
რუქციები უწოდეს. რბილი კონსტრუქციები წარმოადგენენ ცილინდრულ გარ-  
სებს, რომლებიც დამზადებული არიან რბილი, მაღალი სიმტკიცის მასალისაგან,  
ხოლო დატვირთვის ქვეშ ფორმის მიღება და სტაბილიზაცია წარმოებს ქარბი  
წნევის ხარჯზე, რომელსაც კმნის შემავსებელი (წყალი, ჰაერი, წყალი და ჰაერის  
სწვადასხვა შერწყმით).

რბილი კონსტრუქციები სავსებით შეესაბამებიან ჰიდრომელიორაციული  
სისტემების მშენებლობის ტექნიკის თანამედროვე ტენდენციებს, კონსტრუქ-  
ციის მაქსიმალურ შემსუბუქებას. რბილი კონსტრუქციები ყველაზე მსუბუქია  
მათ შორის, რაც ადამიანს თავისი განვითარების ისტორიაში მელიორაციის  
დარგში შეუქმნია. ამიტომ მათი გამოყენების სფერო ფართოა. რბილი კონსტ-  
რუქციების დახმარებით შეიძლება მოვქმენოთ წყალსაშვიანი კაშხალების მო-  
ხაზულობის ოპტიმალური ფორმები, სწვადასხვა სახის გადაძობი ნაგებობანი,  
საკეტები და ა.შ. ერთი სიტყვით, დაწინეიანი ჰიდროტექნიკური ნაგებობების  
მრავალნაირი სახეობა.

ასეთი კონსტრუქციები ადვილად ემორჩილებიან ავტომატიზაციას, ისინი  
ქიმიურად მდგრადი არიან, გამოირჩევიან მცირე წონით, დამონტაჟების სისწ-  
რაფით და პრაქტიკულად ნებისმიერ ადგილზე დამატებითი დანახარჯების გა-  
რეშე საექსპლუატაციოდ გადაცემით. გარდა ამისა, რბილი კონსტრუქციებისა-  
თვის დამახასიათებელი თავისებურებაა მათი მუშაობა გაკვივზე, რაც საშუა-  
ლებას გვაძლევს უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ თანამედროვე სინთეტი-  
კური მასალების სიმტკიცის თვისებები.

ა.ად. ე. ა. ტრაპეზნიკოვის მიერ წამოყენებული დებულება ეკონომიური  
პროგნოზირების შესახებ, აფუძნებს კონცეფციას, რომელიც ასახავს თანამედ-  
როვე განვითარების ტემპებს შენობების სწრაფ, ტექნიკურ, მორალურ და ეკო-  
ნომიურ ცვეთას და ხაზს უსვამს მშენებლობის მიზანშეწონილობას ოპტიმალუ-  
რი, ეკონომიურად ხელსაყრელი დროისათვის, რაც დამახასიათებელია რბილი  
კონსტრუქციებისათვის.

ფორმის მიხედვით რბილი კონსტრუქციები არის შემდეგი ტიპის: შევსე-  
ბული (წყალი, ჰაერი ან კიდევ წყალი და ჰაერი ერთად), მემბრანული და კომ-  
ბინირებული. ჰიდროტექნიკური მშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე  
შეტი გავრცელება ჰპოვა რბილმა შევსებულმა კონსტრუქციამ. ისინი ჰიდრომე-  
ლიორაციული სისტემების არხებზე გამოიყენება როგორც წყალგამტარი, გა-



დამკეტი, დამტბორავი მიმმართველი და სარგულაციო ნაგებობები, დამკეტი დამბები მდინარეებზე და ა. შ. რბილი კონსტრუქციების გამოყენების ასეთი ფართო შესაძლებლობები სახალხო მეურნეობების სხვადასხვა კონსტრუქციებში გამოყენებულია ამ კონსტრუქციის მრავალი უპირატესობით. ისინი უზრუნველყოფენ, კომპაქტურნი, ანაწყოების სახით შეიძლება გადაზიდული იქნენ ნებისმიერი ტრანსპორტით. რბილი კონსტრუქციების საშუალებით მშენებლობა წარმოებს მოკლე ვადებში, რომელიც განისაზღვრება რამდენიმე დღე-ღამით და საათით, მძიმე ამწე მექანიზმების გამოყენებლად ან სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე, ბევრ კონსტრუქციას გააჩნია მაღალი სეისმომდებლობა, ფუძეების გრუნტის ხარისხისადმი ნაკლები მომთხოვნელობა, სხვა მასალისაგან დამზადებულ კონსტრუქციებთან შედარებით განსხვავდებიან მუშაობის დროის მანერირებით და შედარებით დაბალი ღირებულებით.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მსოფლიო მასშტაბით სამეცნიერო კვლევები ამ დარგში ტარდება 60-იანი წლებიდან. ამასთან, დღეისათვის როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ, ჰიდრომელიორაციულ მშენებლობაში დიდი გავრცელება ჰპოვა მსუბუქმა, შევსებულმა კონსტრუქციებმა. ასე, მაგალითად, მარტო აშშ-ში აგებულია რამდენიმე ათეული ასეთი წყალსაშვი სიგანით 20-დან 200 მ-მდე, ხოლო საზღვარგარეთის ბევრმა ფირმამ დაიწყო ასეთი კონსტრუქციების სერიული გამოშვება.

ჭიმოური მეცნიერებისა და მრეწველობის წარმატებებმა, შესაძლებელი გახადა ახალი მაღალი სიმტკიცის სამშენებლო მასალების გამოშვება წინასწარ მოცემული თვისებებით, უფრო მეტი გაზრდილი რაოდენობით. ეს თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ რბილი კონსტრუქციები სამშენებლო პრაქტიკაში, მათ შორის ჰიდრომელიორაციული ობიექტების მშენებლობისას. ამასთან, უახლოეს ხანში, განსაკუთრებით ეფექტური იქნება რბილი შევსებული კონსტრუქციის გამოყენება ჰიდრომელიორაციულ მშენებლობაში იმ შემთხვევაში, როცა მათი გამოყენება მოკლევადიანია და საწარმოო მდგომარეობა მოითხოვს ამა თუ იმ ნაგებობის სწრაფად მოწყობას.

რბილი შევსებული კონსტრუქციის ხარისხის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ისეთი პერსპექტიული კონსტრუქციის ტიპები, რომლებშიც უფრო მეტწილად არის გამოხატული მათი უპირატესობანი და მათი უმნიშვნელო ნაკლოვანებანი: წყალსაგდები, შემაუღლებელი, წყალგამტარი, სხვადასხვა ტიპის გადამგდები ნაგებობა. ამასთან, ყველა შემთხვევაში, რბილი მასალა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ბეტონთან, ლითონთან და სხვა მასალებთან შერწყმული სახით.

მოყვანილი მაგალითები მოწმობენ ჰიდრომელიორაციულ მშენებლობაში სინთეტიკური მასალების გამოყენების უდიდეს ტექნიკურ-ეკონომიურ შესაძლებლობას. ამიტომ, უპირველესი მნიშვნელობა ეძლევა სპეციალურად ჰიდროტექნიკური დანიშნულებისათვის მაღალი სიმტკიცის სინთეტიკური მასალების საკმარისი რაოდენობით გამოშვებას. გარდა ამისა, რბილი შევსებული კონსტრუქციის განვითარების პერსპექტივა საჭიროებს უფრო ფართო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას კონსტრუქციის უფრო ხელსაყრელი ტექნიკური პარამეტრების მოსაძებნად, რბილი კონსტრუქციის ჰიდრაულიკური



და გეომეტრიული ფორმების განსასაზღვრავად, აგრეთვე სხვადასხვა შენაარსებულ  
 შიშვესებული კონსტრუქციის მუშაობის მონაცემების მიღებასა და მასიურად  
 მსუბუქი კონსტრუქციების გაიაფებისა და მასიურად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ უფრო ფართო ტიპიზაციას, სტანდარტი-  
 ზაციას და კონსტრუქციის ცალკეული ელემენტის უნიფიკაციას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილის განსახორციელებლად, ვფიქრობთ, აუცილე-  
 ბელია საქართველოში მელიორაციის დარგის რომელიმე მაპროფილებელ საპ-  
 როექტო, სამეცნიერო-კვლევით ან კიდევ სასწავლო ინსტიტუტთან შეიქმნას  
 ერთი მაკოორდინებელი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ლაბორატორია  
 (ასეთი ლაბორატორიები უკვე არსებობს საბჭოთა კავშირის შთელ რიგ რესპუ-  
 ბლიკებში), სადაც შესაძლებელი იქნება ყველა ზემოთ დასმული საკითხის  
 ირგვლივ ჩატარდეს გეგმური თეორიული, ლაბორატორიული და ნატურაში  
 უკვე აშანებული მეცნიერული გამოკვლევები, ექსპერიმენტული დაპროექტება  
 და დანერგვა კონკრეტულ წყალსამეურნეო ობიექტებზე.

ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის მაპროფილებელ კათედრებს განზრ-  
 ხული აქვთ უაზლოეს წლებში ჩაატარონ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი  
 სამუშაოები ყველა ზემოთ დაგეგმილ საკითხზე და დარგობრივ სამინისტროებ-  
 თან და უწყებებთან საქმიანი კავშირის საფუძველზე, დანერგონ კვლევის შე-  
 დეგები წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პრაქ-  
 ტიკაში.





Г. Я. ШХВАЦАБАЯ

### МАЛАЯ МЕХАНИЗАЦИЯ В ЧАЕВОДСТВЕ

#### Результаты применения ручных моторизованных чаесборочных машин в республике и ближайшие перспективы

Прежде всего следует отметить небывалый успех чаеводов нашей республики, которые в первом году десятой пятилетки вырастили и собрали свыше 356 тыс. т сортового чайного листа и перевыполнили и план (315 тыс.) и взятое повышенное обязательство (335 тыс.) более чем на 20 тыс. т. При этом 70% сырья собрано первым сортом.

В связи с этими успехами наших чаеводов, Генеральный секретарь ЦК КПСС Леонид Ильич Брежнев прислал поздравительную телеграмму на имя ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР:

«Сердечно поздравляю труженников сельского хозяйства, работников чайной промышленности, заготовительных, транспортных организаций, партийных, советских, профсоюзных и комсомольских органов республики с успешным выполнением социалистических обязательств по продаже государству 350 тысяч тонн сортового чайного листа. Достигнутые успехи — результат упорного труда и возросшего мастерства чаеводов Грузии, большой организаторской работы по претворению в жизнь решений XXV съезда КПСС. Уверен, что Вы и впредь будете настойчиво внедрять на чайных плантациях и фабриках достижения науки и передовой практики, осваивать новые машины и прогрессивные технологические приемы, обеспечивающие дальнейшее увеличение производства чая и повышение его качества.

От души желаю Вам, дорогие товарищи, успешно выполнить планы и обязательства по производству и продаже государству всех сельскохозяйственных продуктов в первом году десятой пятилетки. Брежнев. 29 сентября 1976 года».

Успехи наших чаеводов потребовали поистине необычайных усилий, так как из собранных 356 тыс. т качественного чайного листа более 305 тыс. или 86% собрано вручную. Таким образом, несмотря на то, что в 1976 году, по сравнению с предыдущим годом механизированный

сбор листа составил 51,9 тысяч тонн за счет внедрения малой механизации, относительно общие темпы роста и количества собранного чая опережают темпы роста механизированного сбора.

Одной из основных причин этого являются тяжелые природные условия, так как 75—80% чайных плантаций в республике расположены на горных склонах и на мелкоконтурных участках, где почти невозможно применять крупные машины.

Здесь выход надо искать в применении средств так называемой малой механизации: маломощных, малогабаритных машин и ручных моторизованных сборочных и подрезочных аппаратов. Малую механизацию в чаеводстве мы в Грузии начали по-настоящему внедрять лишь с 1974 года.

Лишь после известного Постановления ЦК КПСС об организационной и политической работе Тбилисского Горкома партии и вызванных им коренных перемен, наметился перелом; новое руководство партии и правительства в республике приняло энергичные меры по созданию и внедрению средств малой механизации в чаеводстве. Поскольку дело не терпело отлагательства, с одной стороны начались закупки японских ручных моторизованных чаесборочных и подрезочных машин, с другой — приняты меры по расширению научно-конструкторской работы, направленной на создание отечественной такого рода техники. В 1973 году в Японии было закуплено около двадцати ручных чаесборочных и подрезочных машин трех различных типов, поначалу с целью изучения возможности их широкого применения в практике.


1. Бензомоторная, чаесборочная и подрезочная машина. Вес 8,2 кг (мотор, подвешенный к спине рабочего, 4,5 кг, сборочный аппарат с гибким валом 3,7 кг). Рабочий захват аппарата 270 мм.

2. Электромоторная, напряжением в 24 в, с 50-метровым кабельным питанием через трансформатор от постоянной электросети, напряжением в 220 в. Вес сборочного аппарата с электродвигателем 4 кг, вес кабеля 5,4 кг.

3. Электромоторная, напряжением в 24 в, с 50-метровым кабельным питанием от передвижного генератора, весом 48 кг, питающего одновременно 4 аппарата. Вес сборочного аппарата с электродвигателем 4 кг.

Решением директивных органов на Грузинский сельскохозяйственный институт (кафедра уборочных машин) было возложено научно-методическое руководство по испытаниям и эксплуатации этих машин.

Проведенные испытания дали положительные результаты и в 1974 году их уже было закуплено около 300 штук, всех трех упомянутых типов. А в 1975 году дело вовсе было поставлено на промышленную погу, когда работало около 700 чаесборочных ручных машин, с помощью которых было собрано более 3250 т чая.



1976 год был отмечен новым усилением роли механизации сборки. На плантациях республики работали свыше 2500 штук ручных чаесборочных машин и около 1000 самоходных и было собрано 31900 т сырья с одного листа, из них ручными аппаратами 19200 т или 37%. Это действительно небывалый успех малой механизации, ибо около двух тысяч чаеводов в 1976 году впервые взяли в руки эту технику и в среднем за 45-50 рабочих дней каждый из них собирал 6,5-7 т листа. При этом сотни чаеводов-новаторов собирали по 12-15 т и больше.


Таким образом, малая механизация сделала весомый вклад в сборку чая в республике. Темпы роста удельного веса механизированной сборки листа средствами малой механизации необыкновенно высоки. Это становится вовсе ясно, если сопоставить их с темпами роста механизированной сборки чая с помощью крупных самоходных чаесборочных агрегатов. Здесь за 12 лет применения последних в республике (в 1976 году их работало около 1000 штук) удалось довести объем сборки листа за сезон до 32 тысяч тонн. Еще год, два и малая механизация обгонит «большую» на уборке чая.

Перед нами встает вопрос, какие же машины из этих трех типов сборочной и подрезочной техники, преимущественно следует внедрять?

Причем, надо подчеркнуть, что машины всех трех типов имеют совершенно одинаковые сегментно-режущие сборочные аппараты, осуществляющие силовой сбор (срез) всех подошедших побегов листа чая. Итак, разница сводится лишь к особенностям энергоснабжения машин. И теперь мы можем сделать более определенные выводы, поскольку в силах опереться не только на сравнительно узкие данные проведенных лабораторно-полевых испытаний, но и на опыт довольно широкого производственного применения машин в практике республики.

1. Бензомоторные машины очевидно имеют свои некоторые преимущества. Меньше организационные потери времени, которые у электромоторных машин связаны с перетаскиванием 50-метрового кабеля между шпалерами чая. Потом с ними можно работать на любых участках, любого размера и рельефа, причем при любой погоде, в результате чего этими машинами собирают чай на 25-30% больше, чем электромоторными. Кроме этого, комплект бензомоторных машин стоит значительно дешевле, но они отличаются и существенными недостатками.

Например, вес и вибрация работающего бензомотора (4,5 кг), подвешенного к спине рабочего, тем более, что влияние его вибрации на организм рабочего пока еще недостаточно изучено, усложняет их эксплуатацию и то обстоятельство, что бензомоторные аппараты требуют большой сноровки от рабочего, более капризны в работе и нуждаются в точной регулировке оборотов вала двигателя. Довольно значительная часть мощности мотора, расходуется на преодоление трения гибкого вала, вращающегося с большой скоростью (5 тысяч об/мин.) в предельно изогну-



том положении. Недостатком является и то, что их моторы обычно изнашиваются за два сезона. В силу всего сказанного, нормальная эксплуатация бензомоторных аппаратов возможна лишь при условии хорошей организации ремонта и обеспечения массового производства моторов. Тем не менее надо подчеркнуть, что при всех присущих им недостатках они пока незаменимы на маленьких, изолированных участках, отдаленных от линий электросети и в ряде некоторых других случаев, когда обойтись без них пока трудно.


2. Главная роль, очевидно, должна принадлежать электромоторным аппаратам с питанием от постоянной электросети, которая висит над плантациями. Здесь труд более облегчен, по сравнению с генераторными аппаратами (поскольку отпадает необходимость в передвижении ПЭС вслед за фронтом работы) и более производителен, так как не требует дополнительного ухода за генераторами. Вообще питание от электросети создает большие удобства в работе электромоторных аппаратов, хотя и требует сравнительно крупных капиталовложений и нуждается в строгом соблюдении правил по технике безопасности и в постоянном контроле состояния электросети, в связи с опасностями, которые создаются от наличия над плантациями голых проводов под напряжением.

Так или иначе, пока проблема сплошной механизации чаеводческих работ не может быть успешно решена без электрификации чайных плантаций, т. е. без электромоторных аппаратов с питанием от постоянной электросети. Однако эта электрификация требует сравнительно больших капиталовложений, нуждается в строительных рабочих и материалах (столбы, электропровода и т. д.), т. е. потребует сроков для осуществления.

В связи с этим, в дальнейшем нам придется серьезно заняться изысканием для строительства на плантациях, более надежной и долгосрочной закрытой электросети взамен ныне существующей воздушной. Над этим вопросов ведутся работы и в нашем институте. Разработана принципиальная схема, наземной закрытой сети. У подножия кустов вдоль шпалеры, между ветками прокладываются полдюймовые водопроводные или пластмассовые трубы и по ним протягивается изолированный электропровод маркой ВРГ, сечением  $2 \times 6$  мм<sup>2</sup>. Трубы соединяются между собой переходными муфтами, а через каждые 40 м выводятся на поверхность шпалеры для установки штепселя.

Однако поставленные в X-ой пятилетке задачи по увеличению заготовки чая до 400 тыс. т и намеченное увеличение площадей под чаем не могут быть успешно решены без более существенной, обгоняющей темпы роста чаепроизводства механизации трудовых процессов в нем. Поэтому временный выход надо искать в значительном применении и электромоторных агрегатов с питанием от передвижных и самоходных генера-





торов, в особенности 8-килограммового генератора, питающего два сборочных аппарата. При довольно высокой производительности они более просты в применении, по сравнению с бензомоторными, более надежны и не так быстро изнашиваются. При этом надо принять во внимание и то, что применение электромоторных агрегатов с питанием от генератора облегчает в дальнейшем постепенный безболезненный переход, по мере электрификации плантации, на питание машин от постоянной электросети.

Ориентируясь, в основном, на электромоторные аппараты с питанием от электросети, мы исходим из нынешних возможностей и эксплуатационных преимуществ ныне существующей той или иной техники. Однако, сейчас идут усиленные поиски в сторону организации питания электромоторных машин от аккумуляторов и надо полагать, что и эта проблема будет решена успешно.

Так или иначе, механизация средствами малой техники, несомненно, позволяет успешно решить проблему сплошной механизации процессов труда в чаеводстве. Тем более, что массовое применение ручных моторизованных чаесборочных и подрезочных аппаратов уже дает сделать весьма интересные выводы:

1. Средства малой механизации сохраняют в плантациях почву от вредного, излишнего уплотнения и разрушения ее структуры.

2. Средства малой механизации сохраняют урожайность чайных плантаций на максимальном уровне ручной чаесборки.


3. Средства малой механизации лишь в незначительной степени снижают сортность собираемого чая (если при ручной сборке I сорт составляет в среднем 70-75%, то здесь — 60-65%), причем, эксплуатация аппаратов показала, что при умелом применении их можно больше приблизить сортность к «ручному» уровню.

4. Средства малой механизации позволяют значительно повысить производительность процессов сборки и подрезки чая. Так, например, по данным наших испытаний, производительность этих машин по сравнению с ручной сборкой уже выше в 4,1 раза.

5. Практика применения этих машин показала, что они недостаточно прочны и часто выходят из строя, требуя срочного ремонта. Поэтому, при создании отечественных сборочных и подрезочных машин особо следует обратить внимание на их прочность, так как только чаесборочные машины в отличие от других, работают в тяжелых условиях непрерывно в продолжении 5-6 месяцев в год.

Малая механизация убедительно доказала, насколько она необходима нам и эффективна в эксплуатации, но это не значит, что можно отказаться от крупной техники в чаеводстве.

Преимущество мощных агрегатов в условиях крупных хозяйств, в условиях организации их на социалистической основе, бесспорно.



Однако тракторные агрегаты должны иметь минимальный вес, как в силу обязательных агротехнических операций (культивация, перекопка почвы в междурядьях, подрезка шпалер, фумигация растений, внесение удобрений, сбор листа, лао-чая и облицовочного материала, причем некоторые из этих операций осуществляют многократно, например, сбор листа 8-10 раз) их колеса по 25—30 раз ежегодно, проезжая в междурядьях строго по следу вызывают сильное уплотнение и разрушение структуры почвы, в результате чего нарушаются водный, воздушный, биохимический режимы, увеличивается эрозия почвы, угнетается развитие почвенной микро- и макрофауны, снижается ее плодородие. Нетрудно представить, какое решающее значение приобретает в этих условиях вес машины: чем он больше, тем разрушительнее она действует на почву.

Учитывая это, ученые Грузинского научно-исследовательского института механизации и электрификации сельского хозяйства переоборудовали самоходные шасси Т-16М, заменив ходовые колеса облегченным гусеничным ходом.

Проведенные испытания самохода показали, что кроме улучшения проходимости его в междурядьях чая, давление на единицу площади почвы, по сравнению с колесным ходом, уменьшилось в 2,0 раза. Это показывает, что соответственно должно уменьшиться и разрушительное действие самохода на почву.

Поэтому весьма полезно использовать данную машину на таких операциях, как культивация и перекопка почвы в междурядьях, фумигация растений и внесение минеральных удобрений.

Следует учесть, что самоходные чаесборочные машины нам нужны не только для сборки и подрезки чая, но и для других операций и поэтому необходимо ускорить их совершенствование. Особенно, повторяю, их веса и качества сборки. Словом, внимание малой механизации не дает повода предать забвению «большую механизацию».

Как показывает практика, для осуществления полной механизации сборки 350-400 тыс. т чайного листа, нам необходимо до конца X пятилетки внедрять на плантациях республики 30—35 тысяч ручных моторизованных чаесборочных и подрезочных аппаратов и около 2000-2500 облегченных самоходных чаесборочных машин. В связи с этим следует отметить, что если производство самоходных чаесборочных машин более или менее налажено на заводе «Грузсельмаш», то производство ручных чаесборочных и подрезочных машин фактически еще не начато. Жизнь убеждает в необходимости сосредоточить, централизовать всю работу по созданию и производству машин малой механизации и в первую очередь ручных чаесборочных и подрезочных аппаратов. До сих пор созданием означенной техники занимаются многие научные учреждения, порою не имеющие ни средств и ни достаточного опыта. Эти научно-конструкторские разработки в основном дублируются, расходуется много средств и

времени, а должного эффекта нет. Поэтому совершенно необходимо, как можно скорее навести порядок в этом деле и как было намечено сосредоточить в конструкторском бюро Кутанского тракторного завода «Риони» разработку и производство машин малой механизации.

И когда говорим о тяжелом труде чаевода, многим не представляется действительная картина затраты физического труда (механической энергии) чаеводом на сборке и подрезке чая вручную. Так, например, по нашим исследованиям, на подрезке 1 га чайных кустов вручную (ножами) чаевод расходует 6 250 000 кГм/га или 62 500 килоджоуль/га, на подрезку же 1 га плантации ручной подрезочной машиной — 236 000 кГм/га или 2 360 килоджоуль/га, т. е. в 26,5 раза меньше, при повышении производительности труда в 4 раза.

Аналогично, на сборку тонны листа вручную чаевод расходует 850 000 кГм или 8 500 килоджоуль, а на сборку же тонны листа сборочной машиной — 260 000 кГм, или 2 360 килоджоуль, т. е. в 3,7 раза меньше, при повышении производительности труда в 3,5-4 раза.

Интересно отметить, что ручная подрезка чая почти в 7 раз более трудоемка, чем ручная сборка, так как на подрезку чая в среднем в день чаевод расходует 175 500 кГм, а на сборку листа — 25 000 кГм.



Р и с. 1. Сборка чая ручной электромоторной машиной.

Эти данные говорят о том, что нам необходимо поднять на более высокий уровень пропаганду малой механизации, с точки зрения заботы о человеке.



Партия и правительство правильно нацеливают нас на малую механизацию.

Для нее нет недоступных мест. Без нее невозможно вести процесс сборки и подрезки плантации на трех четвертях площадей под чайными плантациями Грузии и нет сомнения, что эта задача будет решена успешно в ближайшие годы.

В заключении должен упомянуть, что в испытаниях и внедрении этих машин принимали участие аспиранты кафедры: О. Тедорадзе, Р. Бочоршвили, ассистент З. Шхвацабая, учеб. мастер Р. Цирекидзе.





ბ. კახუაშვილი

**საორგანიზაციო მეთოდური ღონისძიებანი სწავლების ხარისხის  
ასამაღლებლად**

სტუდენტთა მომზადების ხარისხი, მათი ცოდნის ამაღლება და საერთოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება ძირითადად დამოკიდებულია სტუდენტის სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხზე, ამიტომ სწავლების ძირითად პრობლემას წარმოადგენს შევაჩვიოთ სტუდენტი სემესტრის განმავლობაში დამოუკიდებელ სისტემატურ მუშაობას და ამისათვის გამოვინახოთ სათანადო მეთოდები. ასეთ მეთოდს წარმოადგენს კონტროლისა და სწავლების ციკლური მეთოდი.

**კონტროლის ციკლური მეთოდი**

სასესიათაშორისო პერიოდის დაგეგმვისა და მეთოდური ორგანიზაციის ახალი ფორმების შესწავლას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის.

ამ მიზნით აუცილებელი ხდება სტუდენტის ცოდნის სისტემატური კონტროლი, რაც ზრდის სტუდენტის პასუხისმგებლობას და იძლეობს მას სისტემატურად იმუშაოს.

კონტროლის ციკლური მეთოდის მიზანს შეადგენს სტუდენტთა სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის უზრუნველყოფა, ამიტომ საგნების ჩაბარება ხდება არა სემესტრის ბოლოს ერთდროულად, არამედ საგნის ყოველი განაკვეთის დამთავრების შემდეგ. იგულისხმება, რომ მოცემულ დისციპლინაში კურსის დამთავრებისას ან სესიების დაწყების წინ სტუდენტს საგნის ყველა განაკვეთი ჩაბარებული და შეფასების საშუალო ბალი უკვე გამოყვანილი აქვს. სესიაზე ხდება გასაუბრება. შესწავლილი განაკვეთების ურთიერთკავშირის ცოდნის გამოსარკვევად და საგამოცდო ფურცლებისა და მატრიკულების საბოლოოდ გაფორმება.

**კონტროლის ციკლური მეთოდის უპირატესობანი**

1. სტუდენტი იძულებულია სისტემატურად აწარმოოს დამოუკიდებელი მუშაობა საგნის შესასწავლად. მასში მუშავდება სისტემატური მუშაობის ჩვევა.
2. ყოველი ლექციის წინ ან ერთი განაკვეთიდან მეორე განაკვეთზე გადასვლისას სტუდენტს შესწავლილი აქვს განვლილი მასალა.

3. სტუდენტისათვის ახალი მასალა გასაგებია, ამიტომ იზრდება მისი უკრძალავი და დაინტერესება, მასალის ათვისება ხდება უკეთესად, სტუდენტი აქტიურია ლექციაზე. მასალის ჩაწერას ახდენს შეგნებულად და მასალის შეგნება ხდება უკეთესად.

4. გამოსაკითხი მასალის მცირე მოცულობის გამო სტუდენტი მას სწავლობს ზედმიწევნით, ამიტომ განაკვეთის მასალის ჩაბარება ხდება მხოლოდ მაღალ ნიშანზე. იხსნება სამიანის პრობლემა. სტუდენტი რწმუნდება თავის თავში; ფრიაღზე აბარებენ სტუდენტები, რომლებსაც არასოდეს სამიანის ზევით ნიშანი არ მიუღიათ.

5. ლექტორს საშუალება აქვს საფუძვლიანად დაწვრილებით შეამოწმოს სტუდენტის ცოდნა, გამოიციხულია შემთხვევით ერთი რომელიმე ბილეთის ცოდნით მთელი საგნის ჩაბარება (მაგ., № 13 ბილეთის ანექლოტი), გადაწერა, შპარგალის ხმარება და სხვ.

6. ლექტორი სემესტრის განმავლობაში სისტემატურადაა დაკავშირებული თითოეულ სტუდენტთან და საშუალება აქვს შეისწავლოს სტუდენტთა მომზადების დონე, რომლის მიხედვითაც არეგულიროს გადაცემული მასალის სიღრმე.

7. მნიშვნელოვნად მცირდება გაცდენები არასაპატიო მიზეზებით.

8. სტუდენტი ადვილად სძლევს მცირე მოცულობის მასალას სახელმძღვანელოში, ეჩვევა წიგნზე მუშაობას.

9. იზრდება უკუკავშირი სტუდენტსა და ლექტორს შორის, რაც საგრძნობლად ზრდის უკუგებას.

10. იხსნება საგნების ჩაბარების წინასასესიო შტურმი.

11. ციკლური კონტროლის შემთხვევაში ხდება სასესიო პერიოდისათვის საჭირო დროის გამოთავისუფლება 15—20 დღის რაოდენობით.

12. შესაძლებელი ხდება სწავლების ხარისხის მაქსიმალურად გაზრდა.

### კონტროლის ციკლური მეთოდის ექსპერიმენტული შემოწმების შედეგები

1975/76 და 1976/77 სასწავლო წლებში მექანიზაციის სპეციალობის II კურსზე მასალების კრით დამუშავების დისციპლინაში (175 სტუდენტი) და III კურსზე ურთიერთშეცვლადობისა და ტექნიკური გაზომვების საფუძვლებში (150 სტუდენტი) ჩატარებული იქნა სტუდენტების ცოდნის ციკლური კონტროლის მეთოდით შემოწმების ექსპერიმენტები. თითოეული სასწავლო დისციპლინა გაიყო 4—4 განაკვეთად და თითოეული განაკვეთის სალექციო კურსის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა გამოცდები აღნიშნულ განაკვეთში. სულ ჩატარდა 1300 სტუდენტგამოცდაზე მეტი.

სტუდენტები წინასწარ გაფრთხილებული იყვნენ, რომ თუ აღნიშნულ განაკვეთებს ჩააბარებდნენ მაღალ ნიშნებზე, ეს ნიშნები ჩაეთვლებოდათ საგნის სასესიო შეფასების დროს.

სტუდენტები დიდის ენტუზიაზმით შეხედნენ ამ სიახლეს, დაიწყო სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობა, შემდეგი განაკვეთის შესწავლის დროს

სტუდენტები ლექციაზე მომზადებული მოდიოდნენ, გაიზარდა ინტერესი შესასწავლი კურსისადმი, საგრძნობლად შემცირდა გაცდენები, სტუდენტები გააქტიურდნენ, ამალდა შედგენილი კონსპექტის ხარისხი და სხვა. **შედეგებმა** მოლოდინს გადააჭარბა, სტუდენტებს ვეღარ ვეწინააღმდეგებოდნენ უმრავლესობამ განაკვეთი ჩააბარა ნიშანზე ფრიადი. ლექციაზე დასწრება მნიშვნელოვნად გაიზარდა, განვლილი მასალის ცოდნამ გააადვილა ახალი მასალის შეთვისება, გაძლიერდა კონტაქტი აუდიტორიასთან, გაიზარდა ინტერესი შესასწავლი საგნისადმი.

ჩატარებული ექსპერიმენტის შესაფასებლად მასალები ამოკრფილ იქნა საგამოცდო ფურცლებიდან და სააღრიცხვო ჟურნალებიდან. მექანიზაციის ფაკულტეტის II კურსის მასალების ჭრით დამუშავების საფუძვლების დისციპლინაში 1973/74 და 1974/75 სასწავლო წლების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, 1975/76 და 1976/77 სასწავლო წლებში სწავლების ხარისხის ზრდა შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრ.):

შეფასება ფრიადი გაიზარდა 12%-დან 59%-მდე, საშუალოდ 5-ჯერ;


შეფასება კარგი " 21%-დან 28%-მდე, დაახლოებით 1,3-ჯერ;

შეფასება დამაკმაყოფილებელი შემცირდა 67%-დან 13%-მდე, დაახლოებით 5-ჯერ.

მექანიზაციის ფაკულტეტის III კურსზე ურთიერთშეცვლადობისა და ტექნიკური გაზომვების საფუძვლების დისციპლინაში 1973/74 და 1974/75 სასწავლო წლების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით 1975/76 და 1976/77 სასწავლო წლებში სწავლების ხარისხის ზრდა შემდეგ სურათს იძლევა:

შეფასება ფრიადი გაიზარდა 13%-დან 61%-მდე, დაახლოებით 5-ჯერ;

შეფასება კარგი " 21%-დან 28%-მდე, დაახლოებით 1,6-ჯერ;



ნახ. 1

შეფასება დამაკმაყოფილებელი შემცირდა 67%-დან 5,5%-მდე, ე. ი. დაახლოებით 13-ჯერ.

სტატისტიკური მონიტორინგი და გაუფასურების კონტროლი



ს ა ს ტ ა ტ ი კ ა ე ს ე ს ი ა

ეროვნული


სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტატისტიკის წილები	1973/74			1974/75			1975/76			1976/77			საშუალო	საშუალო		
	1973	1974	1975	1973	1974	1975	1973	1974	1975	1973	1974	1975				
მონეტარული	11	7	16	27	17	26	37	29	26	25	29	20	1	12%-დან 59%-მდე გაიზარდა 3-ჯერ	21%-დან 28%-მდე გაიზარდა 1,3-ჯერ	67%-დან 10%-მდე შემცირდა 3-ჯერ
ფინანსური	111	10	16	66	9	26	15	33	35	7	64	32	4	13%-დან 61%-მდე გაიზარდა 3-ჯერ	21%-დან 26%-მდე გაიზარდა 1,2-ჯერ	67%-დან 3,2%-მდე შემცირდა 13-ჯერ
გაუფასურების წილები	11	5,2			6,3				1,9			2,5		უმაღლესი გაუფასურების ხარისხი დაკლებულია საბურთალოს რაიონში და 3-ჯერ 3,8 სტატისტიკის სამსახურიდან 2,2 სტატისტიკის სამსახურში.		




უმიზეზოდ გაცდენების რიცხვი 1975/76 და 1976/77 სასწავლო წლებში 1973/74 და 1974/75 სასწავლო წლებთან შედარებით 5,8 სტუდენტსათვის შემცირდა 2,2 სტუდენტსათამდე, ე. ი. დაახლოებით 3-ჯერ.

მიღებული შედეგების დინამიკა თვალსაჩინოდაა ილუსტრირებული მე-2 და მე-3 სურ-ზე. 1-ელ სურ-ზე მოცემულია მექანიზაციის სპეციალობის 11 კურსის სტუდენტების მოსწრება წლების მიხედვით, მასალების კრით დაზუსტების საფუძვლებში. მე-2 სურ-ზე III კურსის სტუდენტების მოსწრება ურთიერთშენაცვლებისა და ტექნიკური გაზომვების საფუძვლებში. მე-3 სურ-ზე კი მოცემულია არასაპატიო მიზეზით გაცდენები.



ნახ. 2



ნახ. 3

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, კონტროლის ციკლური მეთოდის შემოღებით, სტუდენტთა დამოუკიდებელი სისტემატური მეცადინეობის შე-



დეგად ძირითადად გადაწყვეტილ იქნა სამიანების პრობლემა (III კურსზე შემცირდა 13-ჯერ, II კურსზე — 5-ჯერ) და მინიმალურად (დაახლოებით 3-ჯერ) შემცირდა უმიზეზოდ გაცდენილი სტუდენტსათვის რიცხვი  $\frac{1}{1000000}$ .

ჩატარებული ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად  $\frac{1}{1000000}$  შესაძლებელი შეიქნა სტუდენტთა მოსწრებისა და გაცდენილი სტუდენტსათვის ოპტიმალური სიდიდეების დადგენა. სტუდენტების სისტემატური დაზოუვიდებელი მუშაობისა და ციკლური კონტროლის ჩატარების შედეგად მიღებული უნდა იქნეს მოსწრების ხარისხის შემდეგი საშუალო საორიენტაციო მაჩვენებლები: ფრიადი — 60—70%, კარგი — 30—35% და დამაკმაყოფილებელი — 0—5%.

**კონტროლის ციკლური მეთოდის ნაკლოვანებანი**

სწავლების ხარისხის ამაღლების ასპროცენტური რეცეპტი არ არსებობს, ყველა მეთოდსა და ღონისძიებას აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლოვანებანი. ასევე კონტროლის ციკლური მეთოდსაც გააჩნია თავისი სიძნელეები და ნაკლოვანებები.

პირველ ნაკლს წარმოადგენს მისი დიდი შრომატევადობა. მთელი ნაკადის ოთხჯერ გამოცდა დიდ დროს მოითხოვს როგორც მასწავლებლისაგან, ისე სტუდენტებისაგან. ასე, მაგალითად, 1976—77 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა სტუდენტების გამოცდა 92-ჯერ, 1300 სტუდენტგამოცდის რაოდენობით, რაც დაახლოებით 184 საათს შეადგენს. აღნიშნული დატვირთვა შესრულებულია დღის მეორე ნახევარში 14<sup>30</sup> საათიდან, რაც ძალზე ზრდის მასწავლებლის ფაქტიურ დატვირთვას.

მეორე ნაკლს შეადგენს შემდეგი: ექსპერიმენტის განმავლობაში სტუდენტები ძირითადად დაკავებული იყვნენ ჩვენ მიერ წავითხული დისციპლინების შესწავლით და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მიღებული წარმატებები მიღწეული იყო სხვა დისციპლინების ხარჯზე. ყველა საგანში რომ ასეთნაირად დავტვირთოთ სტუდენტები, შეიძლება ასეთ მაღალ შედეგებს ვერ მივაღწიოთ, რადგან სტუდენტის დროის ბიუჯეტი განსაზღვრულია და შეიძლება საკმარისი არ შეიქნეს.

პირველი ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა გამოვიყენოთ კონტროლის პროგრამული მეთოდი, მეორე ნაკლის გამოსასწორებლად კი საჭიროა გამოვიყენოთ სწავლების ციკლური მეთოდი.

**კონტროლის პროგრამულ-ციკლური მეთოდი**

დაპროგრამებული კონტროლის დანიშნულებას შეადგენს შეამციროს სტუდენტის შემოწმებისათვის საჭირო დრო, რასაც კონტროლის ციკლური მეთოდის დანერგვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დაპროგრამებული კონტროლის მეთოდის შეყობისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს დისციპლინის ხასიათი. საინჟინრო დისციპლინებში საჭიროა სტუდენტმა ცოდნა გადმოგვეცეს პრინციპული ან კინემატიკური სქემისა და ფორმულის საშუალებით, რასაც ხშირად პროგრამული კონტროლის ზოგიერთი ხერხით ვერ ვაღწევთ. ტექნიკური დისციპლინების შესწავლის დროს დადებითი ან უარყოფითი პასუხის პროგრამული მეთოდით შემოწმება საკმარისი

არაა, ამიტომ ჩვენ მიერ რეკომენდებულია კიშინიოვის სას.-სამ. ინსტიტუტში აპრობირებული პლანშეტის გამოყენება, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვაპრობირების საშუალებით ჭერ გამოვაჩინოთ კითხვები, რომლებსაც სწორი პასუხები გვაქვს ცემს წერილობით პასუხს, შემდეგ გამოვაჩინოთ სწორი პასუხები სვენიისა და ფორმულების სახით. სტუდენტი ადარებს პლანშეტში მოცემულ სწორ პასუხებს თავის პასუხებს და არსებული ქულების წესის მიხედვით თვითონვე აფასებს თავის ცოდნას. კონტროლის ასეთი მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს შემოწმების დროს, რაც ციკლური კონტროლის დანერგვის საშუალებას იძლევა.

### სწავლების პარალელური და ციკლური მეთოდები

სტუდენტის სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის შემუშავებული სწავლების მეთოდებიდან, ქვემოთ განვიხილავთ სწავლების პარალელურ და ციკლურ მეთოდებს და მათ როლს სწავლების ამოღების საქმეში.

სწავლების პარალელური მეთოდი. უმაღლესი სკოლის დარსების დღიდან სასწავლო პროცესის სტრუქტურა ძირითადად არ შეცვლილა, წლის განმავლობაში ერთმანეთის პარალელურად იკითხება 8—12 დამოუკიდებელი დისციპლინა და სესიაზე გამოდის ჩასაბარებლად 4—5 საგანი.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი სწავლების პარალელური მეთოდით მუშაობს, მას უამრავი ნაკლოვანება და სიძნელებები გააჩნია:

1. სწავლების პარალელური მეთოდი ართულებს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას და აძნელებს სისტემატური მუშაობის ჩვევების გამომუშავებას.

2. დღის განმავლობაში ერთდროულად იკითხება 3—4 სხვადასხვა დისციპლინა, რაც აძნელებს მათ დამახსოვრებას; ცხადია, გადაცემული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება, ვინაიდან ოპერატიული მეხსიერებიდან ვერ ასწრებს ხანგრძლივ მეხსიერებაში გადასვლას. ერთ დისციპლინაში მიღებულ ცნობებს გადაფარავს შემდეგი დისციპლინის ლექციაზე მიღებული ინფორმაციები, რომლებიც ერთმანეთთან ორგანულ კავშირში არ არიან.

3. სტუდენტი იძულებულია ერთდროულად მოისმინოს სხვადასხვა ლექცია, მაგრამ მათ მომზადებას ახდენს არა იმავე დღეს, როდესაც მეხსიერებაში ჭერ არ წაშლილა ლექციაზე მიღებული შთაბეჭდილება და ინტერესი, არამედ რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ცხრილით განმეორდება იგივე ლექცია, მანამდე კი 3—4 სხვადასხვა დისციპლინაზე გადააქვს ყურადღება. რამდენიმე საგანი ერთმანეთში ირევა, შეუძლებელი ხდება მათი სისტემატრია და ხშირად სტუდენტი იძულებულია ლექციაზე მოუმზადებელი მოვიდეს.

4. სწავლების პარალელური მეთოდი ძალზე ართულებს სასწავლო გეგმის შედგენას. შეუძლებელი ხდება ცხრილში ლექციების, პრაქტიკულებისა და ლაბორატორიების კანონზომიერი თანმიმდევრობის დაცვა. რამდენიმე საგნის პარალელური შესწავლის დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობა წინ უსწრებს ლექციას და სხვა.

5. როდესაც სტუდენტი ლექციაზე მოუმზადებელი მოდის, მისთვის სალი მასალა გაუგებარია, უჭირს ლექციის მოსმენა, ლაპარაკობს, ღუ ასევე სტუდენტების რაოდენობა დიდია, აუდიტორიის დამორჩილება შეუძლებელია.

6. როდესაც სტუდენტი სალექციო მასალას ვერ იგებენ, იმეორებენ ინტერესებს, რის გამოც იზრდება არასაპატიო მიზეზით გაცდენების რიცხვი.

7. სემესტრის ბოლოს იწყება ჩათვლები, ხშირად ჩათვლები გამოცდების ხასიათს ატარებს. სესიაზე სტუდენტები მოდიან მოქანცული, მოუმზადებელი და დაბნეული. ბევრი სტუდენტი ჩათვლებს ვერ ასწრებს და მას გამოცდაზე არ უშვებენ. რაც შეუძლებელს ხდის დანარჩენი საგნების ჩაბარებას.

8. სწავლების პარალელური მეთოდის დროს სტუდენტი სესიაზე ყოველ 2—3 დღეში ერთხელ ახალ საგანს აბარებს, რაც შეუძლებელს ხდის მათ მალახარისხოვნად მომზადებას.

9. შეუძლებელი ხდება ნახევარი წლის განმავლობაში განვლილი მასალის 20 წუთში შემოწმება. ერთი ბილეთის ცოდნით ვმსჯელობთ 16—20 ბილეთში მოცემულ მასალაზე, რასაც ხშირად შეცდომაში შევყავართ. სწავლების აღნიშნული მეთოდის შედეგად ხშირად დანაშაულებრივ კუროიზებს აქვს ადგილი სწავლების კონტროლის საქმეში.

სწავლების ციკლური მეთოდი. ზევით განვიხილეთ სწავლების პარალელური მეთოდი და მისი ნაკლოვანებები, ახლა განვიხილოთ სწავლების ციკლური მეთოდი, რომელიც რეკომენდებულ იქნა პერმის პოლიტიქნიკური ინსტიტუტის მიერ და აპრობირებულ იქნა ტულისა და სხვა ინსტიტუტებში.

სწავლების პარალელური მეთოდისაგან განსხვავებით, ციკლური მეთოდის შემთხვევაში სასწავლო პროცესის ოპტიმიზაცია ხდება სპეციალიზაციის პრინციპის დაცვით. სწავლების ციკლური მეთოდის შემთხვევაში შრომატევადი მათემატიკური ხასიათის დისციპლინები: მათემატიკა, ფიზიკა, თეორიული მექანიკა, მასალათა გამძლეობა, მექანიზმების თეორია, ელექტროტექნიკა და სხვა სპეციალურ და საპროფილო დისციპლინაში სტუდენტს ეძლევა მასალის სასემესტრო ნორმა მხოლოდ ერთ საგანში, რომელსაც ჩათვლის და აბარებს. მათი ჩაბარებისათვის გამოიყოფა 2—3 დღე. ამის შემდეგ გადადის მეორე საგანზე და ასე შემდეგ. ციკლურ დისციპლინებთან ერთად იკითხება საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინები, ხაზვა, უცხო ენები, ფიზმომზადება და სხვა, რომლებიც ჩვეულებრივი გრაფიკით ტარდება და წყდება 2—3 დღით გამოცდის პერიოდში. ცხრილში ეს დისციპლინები ჩასმულია ციკლური დისციპლინების ლექციებსა და ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებს შორის.

საათების რაოდენობა, ჩათვლებისა და გამოცდების რიცხვი და სხვა ზუსტად ეთანხმება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას.

ამგვარად, განსაზღვრული დროის განმავლობაში სტუდენტებს უხდებათ ერთ-ერთ მეცნიერულ დისციპლინაში დასპეციალება. ერთი თვის ან თვენახევრის განმავლობაში სტუდენტი ცხოვრობს ერთი მეცნიერების ატმოსფეროში. ლექცია, ლაბორატორია, სასწავლო პრაქტიკა ერთდროულად წარმოებს ამ პერიოდში. სტუდენტს უხდება ერთსა და იმავე ლიტერატურულ მასალაზე მუ

შაობა, მას ყურადღების კონცენტრაციის საშუალება ეძლევა. სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია იოლდება, არა აქვს ერთდროულად სხვადასხვა მოცემულობები შესასრულებელი. სწავლების ციკლურ მეთოდზე აძლევენ და აჩვენებენ სტუდენტს სისტემატურ დამოუკიდებელ მუშაობას არა აქვს საშუალება გამოეთიშოს სასწავლო პროცესს. მყარდება კავშირი სტუდენტსა და მასწავლებელს შორის. შესწავლის შედეგებით მოკლე ციკლი საშუალებას იძლევა სტუდენტმა მეხსიერებაში, შეინარჩუნოს მთელი შესწავლილი მასალა.

სწავლების პარალელური მეთოდის შემთხვევაში სემესტრის ბოლოს იქმნებოდა პიკი და გადატვირთვა. სწავლების ციკლური მეთოდის შემთხვევაში კი გამოცდა და ჩათვლა მიმდინარეობს მთელი სემესტრის განმავლობაში და სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილად ხდება. სესიები მთელი თავისი სიოლით უქმდება. სემესტრის ბოლოს სტუდენტი ისვენებს ნორმალურ პირობებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ციკლურ მეთოდზე გადასვლა იოლად ხორციელდება და არ არის დაკავშირებული რაიმე სიძნელეებთან.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს აღნიშნული ციკლური კონტროლის და ციკლური სწავლების მეთოდები თავისუფალი არიან ზოგიერთი ნაკლოვანებისაგან, მაგრამ უპირატესობანი, რომლებიც ამ მეთოდებს გააჩნია, ცხადია და მოითხოვს ყურადღებით შესწავლას, რადგან კონტროლისა და სწავლების ციკლური მეთოდები აიძულებენ სტუდენტს სისტემატურად დამოუკიდებლად იმუშაოს და მნიშვნელოვნად აიმაღლოს სწავლების ხარისხი.

A. Г. КЕЧУАШВИЛИ

## ОРГАНИЗАЦИОННО-МЕТОДИЧЕСКИЕ МЕРОПРИЯТИЯ ДЛЯ ПОВЫШЕНИЯ КАЧЕСТВА УЧЕБЫ

### Резюме

С целью внедрения систематической самостоятельной работы студентов и обеспечения повышения качества подготовки, в статье рекомендуется циклический метод контроля в течение семестра и для его осуществления циклический метод преподавания сложных технических дисциплин.

Рекомендуемый метод контроля предусматривает сдачу предмета в течение семестра циклами по отдельным разделам.

